ეროვნული ბიბლიოთეკა

# კავკასიონი

ეროვნული ბიბლიოთეკა

© ყოველდღიური გაზეთი №10 (79)   ოთხშაბათი, 18 იანვარი, 1995   ფასი 200 000 კუპონი ან 500 რუბლი

## „კავკასიონის" ცარცის წრე

1995 წელი ძალზე მნიშვნელოვანი იქნება საქართველოს თანამედროვე ისტორიაში. ამ წელს საბოლოოდ გაირკვევა, რამდენად სწორია საქართველოს ეკონომიკური განვითარების გზა, გამოჩნდება რეფორმების პირველი შედეგები. ეს არის ახალი პარლამენტის არჩევნების წელიწადი, რაც მთავარია, დასრულდება მუშაობა ახალი კონსტიტუციის პროექტზე.

კონსტიტუციამ უნდა განსაზღვროს ჩვენი სახელმწიფოებრიობის ყველა ძირითადი პარამეტრი. ამ საკითხებზე აზრთა სხვადასხვაობა არსებობს და კამათი დღესაც გრძელდება, მოსალოდნელია, რომ ცხარე დებატები გაიმართება კონსტიტუციის პროექტის პარლამენტში განხილვის დროსაც.

საბოლოო სიტყვა მაინც საზოგადოებას, ხალხს ეკუთვნის. საზოგადოებრივი აზრის სწორი ორიენტაციის ხელშეწყობის მიზნით, „კავკასიონმა" გადაწყვიტა პერიოდულად რედაქციაში მოიწვიოს პოლიტიკოსები, იურისტები, ისტორიკოსები, საზოგადოების წარმომადგენლები და მოაწყოს დისკუსიები ჩვენი ცხოვრების საჭირბოროტო საკითხებზე. გაზეთის ფურცლებზე გამართული პოლემიკა თავისი სპეციფიკით გამორიცხავს ზედმეტ ემოციურობას, ა, ამდენად, ჯანსაღი, კონსტრუქციული პოზიციის გამოხატვის საუკეთესო საშუალება იქნება.

ამჯერად რედაქციის მოწვევას გამოეხმაურნენ ბატონები — ჯონი ხეცურიანი (ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირის პოლიტიკური მდივანი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი), გია ჟორჟოლიანი (საქართველოს მოქალაქეთა კავშირი, პარლამენტის წევრი, ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი) და ოთარ მელქაძე (ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, პარლამენტის წევრი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი). „კავკასიონი" მადლობას უხდის მათ მობრძანებისთვის და იმედი გვაქვს, რომ არც სხვები იტყვიან უარს ამგვარ შეხვედრებზე.

# კონსტიტუცია — მომავლის არჩევანი

## საჯარო მსჯელობა უნდა დაიწყოს

ოთარ მელქაძე: — მისასალმებელია, რომ თქვენი გაზეთი ასეთ ინიციატივას იჩენს, მაგრამ ჩემი აზრით, ეს ინიციატივაც, ისე, როგორც კონსტიტუციის პროექტის მომზადება, ძლიერ დაგვიანებულია. როგორც ამბობენ, ჯობს გვიან, ვიდრე არასდროს. კონსტიტუციის პროექტი გზადაგზა მნიშვნელოვნად იცვლება. მე საქმის კურსში ვარ, რა გაკეთდა დეკემბრამდე. დეკემბრის შემდეგ — არ ვიცი.

კონსტიტუციის პროექტის ფორმირებაში აუცილებელია პრესის მონაწილეობა, რათა საზოგადოების იურიდიული განათლების ჭრელი ფონის გათვალისწინებით, ხელი შევუწყოთ სწორი საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებას, მათ შორის, განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე საკითხებისადმი. ეს არის: სახელმწიფო მოწყობის ფორმა, სახელმწიფოს ტერიტორიული მოწყობის საკითხი და, არანაკლებ მნიშვნელოვანი, არჩევნების საკითხი. იგი ორ წინა პრობლემას უკავშირდება გარკვეულწილად და, ამასთან, თავისთავადია.

ახლა ორი მიმართულების პროპაგანდა მიმდინარეობს: ერთნი მაჟორიტარული არჩევნების მომხრენი არიან და უარყოფენ პროპორციულს, რადგან მათ სურთ, პიროვნებების პარლამენტი იხილონ, ხოლო მეორენი (ძირითადად პოლიტიკური პარტიები გამოირჩევიან ამ თვალთახედვით) მიიჩნევენ, რომ არჩევნები უნდა ჩატარდეს პროპორციული სისტემით. საკითხების ეს წრეა, ჩემი აზრით, მნიშვნელოვანი და, ალბათ, მსჯელობაც ამით უნდა დავიწყოთ.

— თუ პოლიტიკური პარტიებისგან და საზოგადოებისგან მხარდაჭერა გვექნება, ჩვენ მზად ვართ, აქტიურად ვიმუშაოთ ყველა პრინციპულ საკითხზე. თავდაპირველად, სჯობს, საპრეზიდენტო და საპარლამენტო მმართველობის ფორმებზე ვისაუბროთ, შემდეგ სამხედრო მოწყობაზე და, ბოლოს, არჩევნების შესახებ. გაზეთი იმის საშუალებას იძლევა, რომ აზრი მშვიდ ატმოსფეროში მოუშმდეს.

გია ჟორჟოლიანი: — მისასალმებელია, რომ გაზეთმა ამგვარი მუშაობა დაიწყო. პრესაში დისკუსიის დაწყება ხელს შეუწყობს კონსტიტუციის მიღების დაჩქარებას. როდესაც რაღაც საკითხზე მხოლოდ ერთი ჯგუფი მუშაობს, იგი საკუთარ თავში იხარშება. მეორე მომენტიც — პარლამენტში პარტიების მოსაზრებები პრივალირებს. ჩვენი პოლიტიკური ორგანიზაციები ჯერჯერობით არ ჩამოყალიბებულან ევროპული ტიპის პარტიებად, რომლებიც საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილის ინტერესებს რეალურად გამოხატავენ. მათ არც ისე მყარი კავშირი აქვთ საზოგადოებასთან. თუ გვინდა, საზოგადოებისთვის მისაღები კონსტიტუცია შევქმნათ, ესე იგი, კონსტიტუცია, რომელიც რეალურად იმუშავებს, მეტი კავშირია საჭირო საზოგადოების ფართო ფენებთან. მთავარია თქვენი მუშაობის ციკლურობა, ინტენსიურობა. გაზეთის ფურცლებზე ორ-სამ დღეში ერთხელ ამ თემის გაშლა რომ დაიწყოთ, ვფიქრობ, ეს კონსტიტუციის მიღებას დააჩქარებს. ჩვენი პარლამენტის მუშაობის გამოცდილებას თუ გადავხედავთ, არა მგონია, პოლიტიკურმა პერიპეტიებმა ხელი არ შეუშალონ კონსტიტუციის სწრაფ და კონსტრუქციულ განხილვას, კანონშემოქმედებით პროცესს. თუ საზოგადოება ჩაერთ-



ვება, მისი ზეწოლის შედეგად, სავარაუდოა, რომ ეს პროცესი პარლამენტშიც დაჩქარდება. კიდევ ერთ ზოგად მომენტს აღვნიშნავ: ჩვენი განწყობა არ უნდა იყოს იმგვარი, თითქოს ახალი კონსტიტუციით საქართველომ საუკუნეების განმავლობაში უნდა იცხოვროს. ის პერიოდი, რომელშიც ვიმყოფებით, არ იძლევა საბოლოო რეგლამენტაციის საშუალებას. არ აგებულა საზოგადოება, არ გამოკვეთილა მისი ინტერესები. ის, რასაც დღეს მივიღებთ, დღევანდელობას უნდა ასახავდეს და არა ჩვენს სამეცნიერო იდეალებს. ამერიკულ კონსტიტუციაშიც ზოგადი პრინციპებია მხოლოდ უცვლელი.

ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკონსტიტუციო საკითხია ხელისუფლების საკითხი და, კარგი იქნება, ჩვენც მასზე მოვახდინოთ კონცენტრირება.

მე ასე არ შემოვიფარგლებოდი — საპრეზიდენტო თუ საპარლამენტო რესპუბლიკა. მიმაჩნია, რომ პრეზიდენტს რეალურად უნდა გააჩნდეს საშინაო და საგარეო პოლიტიკის ფორმირებაზე ზემოქმედების საშუალებები. მნიშვნელოვანია ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის ფუნქციების გამიჯვნის საკითხი. ეს უფრო მნიშვნელოვანიც კია, ვიდრე პრეზიდენტის და პარლამენტის პრობლემა. თუ ხელისუფლების დელეგირება არ მოხდა ადგილებზე, დემოკრატიულ სისტემას ვერ ავაგებთ. ისტორიულადაც ცნობილია და ლოგიკურადაც ასეა — დემოკრატია მცირე რეგიონიდან უნდა გავრცელდეს მთელ ქვეყანაზე. ცენტრალიზებული დემოკრატიული ქვეყანა არ არსებობს. კონსტიტუციურმა პრინციპებმა ბიძგი უნდა მისცეს ადგილობრივი ხელისუფლების როლის გაზრდას. ისეთ ცენტრალიზებულ ხელისუფლებას, როგორიც აქამდე გვქონდა, ციმბირის ბანაკები სჭირდება. ამიტომ, ერთი გზა რჩება — ადგილობრივი ხელისუფლების როლის გაზრდა. ამიტომ, ვფიქრობ, ეს პრობლემაც უნდა შემოვიდეს განსახილველი საკითხების წრეში და განყენებულად არ უნდა განვიხილოთ — პრეზიდენტი თუ პარლამენტი. ძალიან მნიშვნელოვანია საარჩევნო სისტემის პრობლემა და ესეც მსჯელობის ერთ-ერთ ძირითად თემად უნდა იქცეს.

ჯონი ხეცურიანი: — კონსტიტუციური პროცესი ჩვენთან დიდი ხნის წინ დაიწყო. საკონსტიტუციო კომისია შეიქმნა, მუშავდება სხვადასხვა პროექტი. სარედაქციო ჯგუფმა ალტერნატიული ვარიანტი შეიმუშავა. ამჟამად ძალზე ინტენსიურად მიმდინარეობს სხდომები. საბოლოო ვარიანტი მალე საკონსტიტუციო კომისიაზე უნდა განვიხილოთ.

ეს რთული პროცესი ხშირად მარტივ საკითხებზე დაიყვანება: პრეზიდენტი თუ პარლამენტი? გვჭირდება პრეზიდენტის ძლიერი ხელისუფლება თუ არა და ა.შ. ეს არ არის სწორი. დემოკრატიულ სამართლებრივ სახელმწიფოს შეუძლია წარმატებით ფუნქციონირებდეს როგორც საპრეზიდენტო, ისე საპარლამენტო რესპუბლიკის შემთხვევაში, კონსტიტუციური მონარქიის პირობებში და სხვა. არ შეიძლება, აპრიორი ვთქვათ, რომ ძლიერი ხელისუფლება გვინდა და ამიტომ საპრეზიდენტო მმართველობას ვამჯობინებთ. საპარლამენტო რესპუბლიკაა გერმანია და იქ ძლიერი ხელისუფლებაა. არსებობს სხვა გრადაციაც, შერეული სისტემები. მაგალითად, საფრანგეთს ნახევრად საპრეზიდენტო რესპუბლიკას ეძახიან. მთავარია, არგუმენტები ხალხმა მოისმინოს, რათა დამოკიდებულება გამოუმუშავდეს, აზრი ჩამოუყალიბდეს, რამეთუ ეს საკითხები საბოლოოდ ხალხის გადასაწყვეტი იქნება — კონსტიტუციის პროექტი რეფერენდუმზე გავა და ხალხს უნდა ჰქონდეს გარკვეული დამოკიდებულება პრინციპული საკითხების მიმართ.

თქვენი გაზეთის ინიციატივა ამ მხრივ ძალიან მისასალმებელია, რადგან კონსტიტუცია ყველა მოქალაქეს ეხება, ვისაც საქართველოში ცხოვრება სურს.

ბატონ გიასგან განსხვავებით, მე იმ აზრის ვარ, რომ ეს დოკუმენტი ძალიან დიდხანს იმუშავებს. უნდა იმუშაოს კიდეც. კონსტიტუციის მუდმივად ცვლის პრაქტიკა ძალიან ცუდია სახელმწიფოსთვის. ძირითადი კანონი გათვალისწინებული უნდა იყოს ხანგრძლივი პერიოდისთვის და მასში ისეთი დებულებები უნდა ჩაიდოს, რომლებიც ნაკლებად ექვემდებარება გადასინჯვას. ჩვენ იმ ეპოქაში ვცხოვრობთ, რომელშიც კონსტიტუციონალიზმის დიდი გამოცდილება არსებობს მსოფლიო მასშტაბით. ჩემი აზრით, ეს კონსტიტუცია უნდა პასუხობდეს რამდენიმე პარამეტრს. ოთხ მათგანს აღვნიშნავ:

1. აუცილებელია სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპების გათვალისწინება — იგულისხმება ხელისუფლების დაყოფა, ადამიანის უფლებათა დაცვის რე-

იხილეთ მე-2 გვერდი



## საქართველო

გვატყობინებენ საინფორმაციო სააგენტოებისა და საკუთარი კორესპონდენტები

### თბილისი

გუშინ დეპარტამენტ „საქენერგოს" ეწვივნენ ქ.თბილისის მერიის, ქალაქის მეტროპოლიტენისა და მუნიციპალური საწარმო „თელასის" წარმომადგენლები. მათ „საქენერგოს" ხელმძღვანელობასთან ერთად განიხილეს საკითხი მეტროპოლიტენის მუშაობის შესახებ. გადაწყდა, რომ საქართველოს ენერგოსისტემაში არსებული მძიმე რეჟიმის მიუხედავად, 17 იანვრიდან თბილისის მეტროპოლიტენი განაახლებს მუშაობას, 4 დღის მანძილზე — სანამ ლიკვიდირებული არ იქნება 16 იანვრის ავარიის შედეგები, მეტრო იმუშავებს დილის 8 საათიდან საღამოს 19 საათამდე, ხოლო ენერგოსისტემაში მდგომარეობის გამოსწორების შემდეგ ჩვეული — რეჟიმით.

დეპარტამენტ „საქენერგოს" პრესსამსახური

* * *

16 იანვარს, 18 საათსა და 50 წუთზე თბილისის სრესში ავარიულად გამოირთო მე-10 ენერგობლოკი, რის გამოც ენერგოსისტემაში სიხშირე მკვეთრად შემცირდა და, შედეგად, რიგი ელექტროსადგურები სრულად გაჩერდა. ავარიის გამო ელექტროენერგიის მიწოდება შეუწყდა თბილისს, რუსთავს, გორს, ხაშურს, ზესტაფონს და სხვა რაიონებს. ენერგოსისტემის მუშაობა 22 საათისთვის აღდგა მნიშვნელოვნად შემცირებული სიმძლავრით. როგორც გაირკვა, ავარია გამოიწვია თბილსრესის მე-10 ენერგობლოკის საკისარის დაზიანებამ, რომლის აღდგენასაც სულ მცირე 4 დღე სჭირდება.

მოსახლეობისთვის ცნობილია, თუ სიმძლავრეების რაოდენ მწვავე დეფიციტისა და როგორ პირობებში მუშაობს საქართველოს ენერგოსისტემა, ეს კი ხშირად გაუთვალისწინებელი ავარიების მიზეზი ხდება. დეპარტამენტი „საქენერგო" თხოვნით მიმართავს ელექტროენერგიის ყველა მომხმარებელს, გაგებით მოეკიდონ ენერგოსისტემაში შექმნილ მდგომარეობას, ვინაიდან, სანამ ავარიის შედეგები საბოლოოდ ლიკვიდირებული არ იქნება, ელექტროენერგია, ძირითადად, მხოლოდ სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტებს მიეწოდება.

* * *

საქართველოს თავდაცვის მინისტრმა, გენერალ-ლეიტენანტმა ვარდიკო ნადიბაიძემ 1994 წლის დეკემბრის თვის მიწურულს დაათვალიერა თბილისის გარნიზონის რამდენიმე ნაწილი, გაეცნო ჯარისკაცების ცხოვრების პირობებსა და მათი სამხედრო მომზადების დონეს. დღეს თავდაცვის მინისტრი განაახლებს თბილისის გარნიზონის ნაწილების დათვალიერებას, ხოლო მომავალი კვირიდან იგი ეწვევა ხაშურში, ახალქალაქში, გორში და დასავლეთ საქართველოში განლაგებულ სამხედრო ნაწილებს.

* * *

პრემიერმინისტრის მოადგილე ავთანდილ მარგიანი შეხვდა რესპუბლიკის მაშველთა კორპუსის პრეზიდიუმის წევრებს. შეხვედრაზე განიხილეს მინისტრთა კაბინეტის დადგენილების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს მაშველთა კორპუსის საქმიანობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებებს.

ა.მარგიანმა აღნიშნა, რომ ამ სისტემაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დისციპლინის განმტკიცება, კომპეტენტური პროგრამის შემუშავება და სამოქალაქო თავდაცვის კანონპროექტის მომზადება.

პრეზიდიუმის წევრებმა აღნიშნეს, რომ რესპუბლიკაში მოქმედ ყველა სამაშველო სამსახურს უნდა გაეწიოს კოორდინაცია და გადაეცეს რესპუბლიკის მაშველთა კორპუსს. ასევე წარმოადგინეს წინადადება, შეიქმნას სწრაფი რეაგირების ქვედანაყოფები, რომლის ანალოგიური სტრუქტურებიც ფუნქციონირებენ დსთ-ს სხვადასხვა ქვეყნებში. გამოითქვა აზრი, რომ გატარდეს მთელი რიგი სისტემების ძირეული სტრუქტურული რეორგანიზაცია და რესპუბლიკის მასშტაბით შეიქმნას ადგილობრივი ცენტრალური აპარატები, რომელთა ავტორიტეტი და კომპეტენტურობა იქნება მოსახლეობის დაცვის სრული გარანტი.

* * *

გუშინ საქართველოს მოქალაქეთა კავშირის ცენტრალურ ოფისს ეწვია ფრიდრიხ ებერტის სახელობის ფონდის დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნების საკოორდინაციო ბიუროს ხელმძღვანელი, დოქტორი ალფრედ დიბოლტი და ამ ფონდის წარმომადგენელი საქართველოში ია თიკანაძე. შეხვედრაში მოქალაქეთა კავშირის მხრიდან მონაწილეობდნენ კავშირის გენერალური მდივანი ზურაბ ჟვანია, საერთაშორისო მდივანი ზაზა კანდელაკი და პრესისა და ინფორმაციის სამსახურის უფროსი დავით ტყეშელაშვილი.

საუბარი შეეხო ფ.ებერტის ფონდისა და საქართველოს მოქალაქეთა კავშირის თანამშრომლობის პერსპექტივებს, საარჩევნო კომპანიის წარმოებასთან დაკავშირებულ საკითხებს. მხარეები შეთანხმდნენ ურთიერთდიალოგისა და თანამშრომლობის გაგრძელების თაობაზე.

* * *

გუშინ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტში გამართულ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს გაფართოებულ სხდომაზე დაისვა საკითხი იმის თაობაზე, რომ კონტროლზე იქნება აყვანილი ლტოლვილებისა და იძულებით გადაადგილებულ პირთათვის სახელმწიფოს მიერ გაღებული სახსრები. უახლოეს მომავალში კონტროლის პალატა, საგადასახადო ინსპექცია და ფინანსთა სამინისტრო ერთობლივად დაიწყებენ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროების შემოწმებას.

* * *

აფხაზეთის რეგიონში მიმდინარე ომის დროს დაჭრილი 200 მებრძოლის მდგომარეობა ძალზე კატასტროფულია. წელიწადზე მეტია, ისინი იმყოფებიან თბილისის სტაციონარებში. მათგან 40 პროცენტი მოითხოვს საზღვარგარეთ მკურნალობას. მათი ჯანმრთელობა სერიოზულ ქირურგიულ ჩარევას საჭიროებს. ამჟამად მიმდინარეობს მოლაპარაკება სანკტ-პეტერბურგის კლინიკებთან და სავარაუდოა, რომ მოხერხდება რამდენიმე ავადმყოფის მათთან გაგზავნა. (იბერია)

### ზუგდიდი

აფხაზეთიდან ლტოლვილთა რეპატრიაციის ზუგდიდის ოფისის ხელმძღვანელი როსტომ გაბისონია იუწყება, რომ იანვრის ბოლოსთვის მოხდება ზუგდიდის, გალისა და სოხუმის ოფისების შეკვეცა. სამივე ოფისს სათავეში ჩაუდგება ამჟამად გალის ოფისის ხელმძღვანელი ტორე ბორესენი.

რამდენიმე ხნის წინ ტორე ბორესენი ქ.სოხუმში შეხვდა აფხაზი სეპარატისტების ლიდერს ვლადისლავ არძინბას, რომელმაც მას განუცხადა: „გაერო, რუსეთი და საქართველო შეთანხმებულად მოქმედებენ აფხაზეთის წინააღმდეგ. რაც შეეხება რეპატრიაციის პროცესს, იგი ვერ დაიწყება, ვიდრე არ გადაწყდება აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსი, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ქართული მხარე იარაღის ძალას მიმართავს, მე შემიძლია 3 დღის განმავლობაში 10 000 შეიარაღებულ კაცს მოვუყარო თავი".

„ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილმა მიგვიყვანა იმ დასკვნამდე, რომ სარეპატრიაციო სამსახური, ფაქტობრივად, უფუნქციოდ დარჩა. საჭიროა მისი საშტატო ერთეულების მინიმუმამდე დაყვანა", — განაცხადა ზუგდიდის ოფისის ხელმძღვანელმა როსტომ გაბისონიამ. დღემდე ყველა ოფისის საშტატო ერთეული 14 კაცისგან შედგება, თვის ბოლოს კი იქნება 6. (იბერია)

## P.S.

გუშინ საზოგადოება „ცოდნის" დარბაზში პრესკონფერენცია გამართა პარლამენტის წევრმა, ყოფილმა პრემიერმინისტრმა, ეროვნულ-განმათავისუფლებელი ფრონტის ერთ-ერთმა ლიდერმა თენგიზ სიგუამ.

თ.სიგუამ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ეროვნულ-განმათავისუფლებელი ფრონტის წინააღმდეგ ბრძოლა დაიწყო მისი დაარსებისთანავე. პასტერის ქ.№7-ში ეს ორგანიზაცია უკანონოდ არ შეჭრილა. ერთ-ერთმა შრომითმა კოლექტივმა შეისყიდა შენობა, შემდგომ კი გააფორმა ხელშეკრულება სამხედრო ვეტერანთა კავშირთან, რომელიც ერთ-ერთი დამფუძნებელია ეროვნულ-განმათავისუფლებელი ფრონტისა.

რაც შეეხება 13 იანვრის აქციას, მისი დაწყების მიზეზი იყო დასავლეთ საქართველოში არსებული აფხაზეთის რეგიონიდან ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა კომიტეტის მიერ ეროვნულ-განმათავისუფლებელი ფრონტის სახელზე გამოგზავნილი წერილი, რომლითაც კომიტეტი ფრონტს სთხოვდა, შეძლებისდაგვარად დახმარება გაეწია დასავლეთ საქართველოში მყოფი ლტოლვილებისთვის.

აქციაში მონაწილე მოხალისეებს განზრახული ჰქონდათ დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, სენაკში დაბანაკებულიყვნენ და როდესაც ხელისუფლების მხრიდან დაიწყებოდა რეალური ქმედებები აფხაზეთის დაბრუნებისთვის, სენაკში დაბანაკებული სახალხო ლაშქარი შეუერთდებოდა მათ.

13 იანვრის აქციას პოლიტიკური დატვირთვა ჰქონდა. მისი მიზანი იყო, ზეწოლა მოეხდინა როგორც აფხაზ სეპარატისტებზე, ასევე საქართველოს ხელისუფლებაზე. თ.სიგუას თქმით, სამშვიდობო პროცესი ჩიხშია შესული. რაიმე რეალური პერსპექტივა მშვიდობიანი გზით აფხაზეთის კონფლიქტის გადაწყვეტისა თითქმის აღარ არსებობს. დადგა დრო, რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ რადიკალური ზომები მიიღოს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისთვის. აფხაზეთის თემა ნელ-ნელა უკანა პლანზე გადადის. მეორდება ის, რაც ცხინვალის რეგიონში განვითარდა. ტაქტიკა ასეთია — გავიდეს რაც შეიძლება მეტი დრო, რომ აფხაზეთი საქართველოს გადაავიწყდეს. ამ აქციას კი საზოგადოებისთვის ერთგვარი მუხტი უნდა მიეცა.

მსვლელობა დასავლეთ საქართველოს მიმართულებით უნდა დაწყებულიყო 13 იანვარს, 10 საათზე, მაგრამ იმის გამო, რომ ელოდნენ ოფიციალური ხელისუფლების პასუხს, მოხალისეები გაემგზავრნენ 13.30 საათზე. თ.სიგუას თქმით, იგი 16 საათამდე იმყოფებოდა ოფისში, მაგრამ ხელისუფლებისგან არავითარი პასუხი არ მიუღია. კოლონა შეიარაღებული არ ყოფილა. 1400 კაცზე მხოლოდ 20 ერთეული ავტომატური იარაღი აღმოჩნდა. ეს იმაზე მიუთითებს, რომ მათი მიზანი საომარი მოქმედებების ჩატარება არ ყოფილა.

თ.სიგუას თქმით, არის ვერსია, რომ მოხალისეთა ერთ-ერთი ავტობუსი დაცხრილეს და არიან დაჭრილები, მაგრამ ისინი არავის უნახავს და მათი გვარებიც არ არის ცნობილი. „მე ვერც გამოვრიცხავ ამ ფაქტს და ვერც ვადასტურებ", — დასძინა მან.

თ.სიგუას განცხადების თანახმად, სოფელ სიმონეთთან პარლამენტის წევრს, თავდაცვის ყოფილ მინისტრს თენგიზ კიტოვანს და მის თანმხლებ პირებს უშიშროების სამსახურის მუშაკებისთვის არავითარი წინააღმდეგობა არ გაუწევიათ, რის შემდეგაც თ.კიტოვანი დაკავებული იქნა. მისივე თქმით, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერის გიორგი ჭანტურიას მკვლელობამ დროებით გადაავადა თენგიზ კიტოვანის ფიზიკურად განადგურების პროცესი.

* * *

საქართველოს მოქალაქეთა კავშირის პრესცენტრმა გაავრცელა ცნობა, რომ 13 იანვრის ავანტიურას ჰქონდა ერთადერთი მიზანი — დასავლეთ საქართველოში, სახელდობრ სენაკში, ხელისუფლებასთან დაპირისპირების ცენტრის შექმნა.

საქართველოს მოქალაქეთა კავშირი მიესალმება სამართალდამცავი ორგანოების ოპერატიულ და პროფესიონალურ ქმედებას, რომლებმაც უსისხლოდ განაიარაღეს პროვოკატორები და აღადგინეს საზოგადოებრივი წესრიგი.

მოქალაქეთა კავშირი მოითხოვს, საქმე ბოლომდე იქნას მიყვანილი, პასუხი გაეცეს ყველა შეკითხვას: თუ როგორ აღმოჩნდა ავანტიურისტების ხელში ამდენი იარაღი, ვინ იდგა მათ ზურგს უკან საქართველოში თუ მის ფარგლებს გარეთ.

აფხაზეთისა თუ ნებისმიერი სხვა პრობლემის გადაწყვეტა მხოლოდ ძლიერ ქართულ სახელმწიფოს შეუძლია, ხოლო სახელმწიფოს ძლიერების საწინდარი კანონის უზენაესობაა.

* * *

გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის პოლიტიკურმა საბჭომ გაავრცელა გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ საქართველოში 1995 წლის 13 იანვარს ეროვნულ-განმათავისუფლებელი ფრონტის მიერ მოწყობილი აქცია კიდევ ერთხელ ადასტურებს ჩვენს სახელმწიფოში პოლიტიკური და სულიერი კრიზისის არსებობას. ყოვლად გაუმართლებელია როგორც ცალკეულ პირთა, ისე სხვადასხვა საზოგადოებრივი და პოლიტიკური ორგანიზაციების მიერ სახელმწიფოს ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციის თავის თავზე აღება — ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისთვის საომარი მოქმედებების განაწლება. ასეთმა ქმედებამ შეიძლება გამოუსწორებელ შედეგამდე მიგვიყვანოს.

ხელისუფლებისთვის ცნობილი იყო ამ აქციის მზადების ფაქტი. მიუხედავად ამისა, არ იქნა მიღებული კანონით გათვალისწინებული პრევენტული ზომები. ეს ფაქტი კი სამართლიან ეჭვს ბადებს, რომ ხელისუფლება გარკვეულ წილად თვითონ იყო დაინტერესებული ვითარების შემდგომი ესკალაციით და დაძაბულობის ახალი კერის შექმნით.

გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია მიიჩნევს, რომ აფხაზეთის პრობლემის გადაჭრა შესაძლებელია სახელმწიფოს ერთიანი ძალისხმევით, მხოლოდ ხელისუფლების მიერ წარმართული სწორი პოლიტიკის შედეგად. ჩვენ წინააღმდეგნი ვართ არსებული კაპიტულანტური პოლიტიკური კურსისა, მაგრამ ამავე დროს სრულიად დაუშვებლად მიგვაჩნია ნებისმიერი ავანტიურისტული თვითმოქმედებანი, რომლებიც კიდევ ერთი მარცხის გამომწვევ მიზეზად შეიძლება იქცნენ, მით უფრო, თუ ამგვარი აქციების წარმშტების გარანტად რუსეთია მიჩნეული.

დასასრულ, ვიმედოვნებთ, რომ ხელისუფლება გამოიჩენს კეთილ ნებას ამ აქციაში პატრიოტული მოტივებით და მიზნებით მონაწილე მეომრების მიმართ და მათდამი დამოკიდებულებით არ მოახდენს მათ დემორალიზაციას.

(იბერია)



# კონსტიტუცია — მომავლის არჩევანი

პირველი გვერდიდან

ლური გარანტიების შექმნა. ხელისუფლების დაყოფა გათვალისწინებულია არამხოლოდ ჰორიზონტალურ ჭრილში — საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების გამიჯვნა და მათი ურთიერთგაწონასწორების პრინციპების დამკვიდრება, არამედ, ვერტიკალურ ჭრილშიც — ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის კომპეტენციების გამიჯვნა. ერთი სიტყვით, სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპები უნდა გავითვალისწინოთ. 2. უნდა მოხდეს 1921 წლის კონსტიტუციის დებულებების მაქსიმალური გათვალისწინება, რადგან მიღებული გადაწყვეტილებით, ახალი პროექტი არის 1921 წლის კონსტიტუციის ახალი რედაქცია. მინდა, მოგახსენოთ, რომ XX ს-ის დასაწყისში ჩვენმა სახელმწიფომ კარგი, უაღრესად დემოკრატიული კონსტიტუცია შექმნა. ეს იყო კონსტიტუციის პირველი ტალღის ეპოქა. გაერო არ არსებობდა, ადამიანის უფლებათა დაცვის საყოველთაო დეკლარაციაც არ იყო მიღებული. ეს შესანიშნავი კონსტიტუციაა, და ახალი რედაქციის შექმნისას მისი ძირითადი პრინციპების შეცვლა არ შეიძლება. 3. აუცილებელია სხვა ქვეყნების კონსტიტუციური მიღწევათა გათვალისწინება. ამაში სამარცხვინო არაფერია, პირიქით — მისასალმებელია. 4. საჭიროა ამჟამად რესპუბლიკაში მიმდინარე პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური პროცესების ღრმა ანალიზი. აუცილებელია, რომ მოდელი, რომელსაც შევქმნით, მოერგოს დღევანდელობას, რასაკვირველია, წინ გამხედველი სახით. თუ ეს ოთხივე პრინციპი თანაბრად არ იქნა გამოყენებული პროექტის შექმნისას, კონსტიტუციას გაუჭირდება მუშაობა. XX ს-ის დასაწყისში საქართველომ შესანიშნავი, ნამდვილად დემოკრატიული კონსტიტუცია შექმნა და ცუდი იქნება XX ს-ის ბოლოს იმაზე ნაკლები კონსტიტუცია შევიმუშავოთ.


გია ჟორჟოლიანი

კონსტიტუციაში ორი ძირითადი საკითხი უნდა გადაწყდეს: მართვა-გამგეობის ფორმის და სახელმწიფო წყობილების საკითხი. ამ ორ საკითხს როგორც გადავწყვეტთ, ისე ჩამოყალიბდება კონსტიტუციის დანარჩენი ნაწილიც. მართვა-გამგეობის ფორმის არჩევისას უნდა გადავწყვიტოთ — რესპუბლიკა გვჭირდება თუ მონარქია. მონარქია არსებობს აბსოლუტური და კონსტიტუციური. რესპუბლიკა გახლავთ საპარლამენტო ან საპრეზიდენტო. მათ შორის უნდა მოვახდინოთ არჩევანი. აბსოლუტური მონარქია თავიდანვე შეიძლება უარყოფილი იქნას, რადგან ეს გამორიცხავს სამართლებრივი სახელმწიფოს იდეას. ვფიქრობ, რესპუბლიკური მართვის ფორმა უნდა ავირჩიოთ, რადგან 1921 წლის კონსტიტუციაში წერია, რომ მუდმივი და უცვლელი ფორმა მართვა-გამგეობისა არის დემოკრატიული რესპუბლიკა. თუ ვითვალისწინებთ იმ კონსტიტუციის ძირითად დებულებებს, დემოკრატიულ რესპუბლიკაზე უნდა შევჩერდეთ. გადასაწყვეტია საპარლამენტო ან საპრეზიდენტო რესპუბლიკის საკითხი. რაც შეეხება სახელმწიფო წყობილებას, უნდა ავირჩიოთ უნიტარული ან ფედერალური სახელმწიფო.

კონსტიტუციის მიღებას ჩვენი სახელმწიფოსთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. მისი მიღება რეფერენდუმის გზით მოხდება და მასში ცვლილებების შეტანა საკმაოდ რთული მექანიზმია, რადგან კვლავ რეფერენდუმთან არის დაკავშირებული. არჩევნებმა ხელი უნდა შეუწყოს კონსტიტუციით გათვალისწინებული სახელმწიფოებრივი ინსტიტუტების შექმნას, რომელიც, ერთი მხრივ, უზრუნველყოფს ხელისუფლების ეფექტურ ფუნქციონირებას და, მეორე მხრივ, გამორიცხავს ხელისუფლების უზურპაციის ან მისი ძალის გამოყენებით შეცვლის მცდელობას.

საქართველოს მთელი ისტორიის მანძილზე პირველად 1990 წელს, არჩევნების გზით, მშვიდობიანად შეიცვალა ხელისუფლება. შემდეგ რაც მოხდა, ამის მიზეზი ის გახლდათ, რომ არ იყო შექმნილი და ჩამოყალიბებული სახელმწიფოებრივი ინსტიტუტები, რომლებიც უზრუნველყოფენ კონსტიტუციური რეჟიმის ფუნქციონირებას. ახალმა კონსტიტუციამ სწორედ ის უნდა უზრუნველყოს, რომ ხელისუფლება ნორმალურად ფუნქციონირებდეს და იცვლებოდეს მშვიდობიანად, კონსტიტუციურად, არჩევნების გზით, დემოკრატიული ინსტიტუტების მეოხებით.

ოთარ მელქაძე: — რამდენიმე მოსაზრებას გამოვთქვამ ზოგადი პრინციპების შესახებ. ვეთანხმები ბატონ ჯონის, რომ ძალიან გამარტივებულია მიდგომა სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნისადმი. ძირითადად ორ განზომილებაში იხილავენ საკითხს — ძლიერი პრეზიდენტი თუ ძლიერი პარლამენტი. ყველაზე ხშირად ამას მოისმენ საზოგადოებაში. სამართლებრივი სახელმწიფო, როგორც ბატონმა ჯონიმ აღნიშნა, ყველა მოდელის პირობებში არსებობს. ამ ორი სახის რესპუბლიკის მოდიფიკაციებიც გვხვდება. უფლებების იმგვარი გადანაწილებაც არსებობს, რომ ქვეყანაში ძლიერი პრეზიდენტიცაა და პარლამენტის უფლებამოსილებაც წამოწეულია. ზოგჯერ მთავრობის უფლებები იზრდება ამ ორის გვერდით. ჩვენს წინაშე დგას ხელისუფლების განაწილების ამოცანა. აქ ყველას დიდი დაფიქრება გვჭირდება, განსაკუთრებით, საზოგადოებას, რადგან კონსტიტუციის საბოლოო ვარიანტი რეფერენდუმის წესით იქნება მისაღები.

მაფიქრებს ის, რომ დღევანდელი პარლამენტის დაბალი ავტორიტეტი ერთ-ერთი არცთუ ობიექტური განმსაზღვრელი გახდება იმ მოდელის ჩამოყალიბებისას, რომლის შესახებაც ვმსჯელობთ. უნდა ვეცადოთ, რომ ხელისუფლების განაწილების პრობლემა ობიექტური განსჯის საგნად ვაქციოთ და არა სუბიექტური მოსაზრებების ნაკრებად. ვისაც 1921 წლის კონსტიტუცია უნახავს, მას თავისი დროის ერთ-ერთ ყველაზე დემოკრატიულ კონსტიტუციად მიიჩნევს. ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ უნდა მივიღოთ 1921 წლის კონსტიტუციის ახალი ვარიანტი. რა ვარიანტზეც მიმდინარეობდა მუშაობა, ის 1921 წლის კონსტიტუციისგან საკმაოდ დაშორებულია, თუმცა, ამას აქვს ობიექტური საფუძველი. 1921 წლის შემდეგ ახალი არგუმენტები და სტრუქტურები გაჩნდა. ბევრი რამის გათვალისწინება ჩვენს წინაპრებს არც შეეძლოთ. ამიტომ სიახლეები გათვალისწინებული უნდა იქნეს, მაგრამ აუცილებელია ძირითადი პრინციპების შენარჩუნება და განვითარება.

ვფიქრობ, ჩვენ გვჭირდება მყარი კონსტიტუცია, მაგრამ აქტიური ორგანული კანონმდებლობით. ვგულისხმობ, რომ ეს კონსტიტუცია არ უნდა იყოს ზედმეტად დეტალიზებული. ყველა შესწორების გატანა რეფერენდუმზე ტექნიკურ სირთულეებთან ერთად, თუნდაც სიძვირის გამო, მეტად გაგვიჭირდება.

საგანგებოდ შევეხები კონსტიტუციისა და არჩევნების თემას. აქ რამოდენიმე საკითხს გამოვყოფდი: 1. დღევანდელი ჩვენი მდგომარეობა. კონსტიტუციის განხილვის პროცესის ნორმებიდან გამომდინარე იქმნება საშიშროება, რომ მომავალი არჩევნები დროულად არ ჩატარდება. ისე ნუ გამიგებთ, თითქოს შეფასებას ვიძლეოდე, მხოლოდ ობიექტურ საფრთხეზე ვსაუბრობ. 2. ჯერ წარმოდგენილი არა გვაქვს, როგორი სტრუქტურისა იქნება პარლამენტი. საარჩევნო კანონიც ამაზე იქნება დამოკიდებული. მიმდინარეობს დავა, არჩევნები მაჟორიტარული სისტემით ჩატარდეს თუ პროპორციულით. თუ საჭიროა არგუმენტირება, შესანიშნავი არგუმენტი არსებობს: დემოკრატიულ სახელმწიფოებში პარტიული არჩევნების სისტემა იყო ჩადებული კანონმდებლობაში, რათა მრავალპარტიული სისტემა სამართლებრივ საფუძველზე განვითარებულიყო და დახვეწილიყო, ისინიც 100 და 80 პარტიით იწყებდნენ, მაგრამ პარტიების გაცხრილვის პროცესს კანონმდებლობა აძლევდა იმ სასურველ სახეს, რაც მრავალ სახელმწიფოში გვაქვს დღეისთვის. ამ მოსაზრების გათვალისწინებით, შეუძლებლად მიმაჩნია პროპორციული სისტემის უგულებელყოფა.

რა თქმა უნდა, ისეთი პროპორციული არჩევნები არ გვინდა, როგორიც წინა საარჩევნო დებულებით იყო განსაზღვრული. მან რა შედეგიც მოგვცა დღევანდელი პარლამენტის შემადგენლობის სახით, ყველანი ვხედავთ. თუ ორპალატიანი სისტემა გადაწყდება, იქ ყველაფერი გარკვეულია — ქვედა პალატა პროპორციული სისტემით აირჩევა, ზედა პალატა — სამხარეო პრინციპის გათვალისწინებით. არ შეიძლება, სამხარეო მოწყობაზე გადახვიდე, და ამან შესაბამისი ასახვა არ ჰპოვოს სტრუქტურებში, მათ შორის, თუნდაც საკანონმდებლო სტრუქტურაში. წინა საარჩევნო დებულების სახე გარკვეულწილად განაპირობა სახელმწიფო საბჭოს სიჭრელემ. საარჩევნო კანონი, რომელიც დღევანდელი შემადგენლობის მიერ შეიძლება იყოს განხილული და მიღებული, ამ ხარვეზს ვერ გაექცევა. ყველა კოლეგიალურ ორგანოში, თუ ასეთს ვუწოდებთ პარლამენტს, არსებობს მისი შემადგენლობის სუბიექტური მაკორექტირებელი ფაქტორი. ჩვენს საკმაოდ ჭრელ პარლამენტში ერთი-ორი კაცით წარმოდგენილი პარტიები ხმას არ მისცემენ პროგრესულ საარჩევნო კანონმდებლობას, რადგან მათთვის უმთავრესია, როგორმე მომავალ პარლამენტშიც შეინარჩუნონ თავი. კონსტიტუციამ უნდა ჩამოაყალიბოს ნორმატიული ბაზა, რომელიც მომავალ საარჩევნო კანონში პროგრესულ ელემენტებს გაითვალისწინებს, მაგალითად ბარიერების დაწესება და ა.შ. კონსტიტუციის მიღებით უნდა დავამკვიდროთ საარჩევნო კანონმდებლობის ძირითადი ნორმატიული ბაზა და, ამავე დროს, პარალელურად უნდა მზადდებოდეს საარჩევნო კანონის პროექტი. ეს საკმაოდ რთული პროცესია.

გია ჟორჟოლიანი: პოსტკომუნისტურ ქვეყნებში, მათ შორის პოსტსაბჭოთა სივრცეშიც, ჯერ კიდევ გარდაქმნის დაწყების პერიოდში საზოგადოებაში განსაკუთრებული როლი შეიძინა არჩევნებმა. რეალური არჩევნების არარსებობამ 70 წლის განმავლობაში, ეს პროცედურა, მე ვიტყოდი, გააფეტიშა. ხალხი პარლამენტს განიხილავდა არა როგორც განსაზღვრული ფუნქციის მატარებელ ორგანოს, არამედ — ორგანოს, რომელიც რაკიღა არჩეულია, შეუძლია, ყველაფერი გააკეთოს.

აქ ახსენეს 1990 წლის არჩევნები. მე მგონი, მაშინაც სწორედ ეს მოხდა. უზენაესმა საბჭომ საკუთარი ფუნქციების შესრულება კი არ დაიწყო, არამედ მოინდომა აღმასრულებელი ხელისუფლების ფუნქციების განხორციელება. ჩემი აზრით, ასეთი რეციდივის საფრთხე დღესაც არსებობს. იყო წინადადებები, რომ პარლამენტს შეეფასებინა მთავრობის მიერ გაწეული მუშაობა. ეს ჩემთვის გაუგებარია. მთავრობისადმი ნდობის შესახებ მსჯელობა გათვალისწინებულია საპარლამენტო რეგლამენტით, მაგრამ მუშაობის შეფასების მოთხოვნა ზემოთ აღნიშნული ცნობიერების შედეგია — რადგან პარლამენტი არჩეულია, ის ყველაფერის მსაჯულიცაა.

მეორე რეციდივია საპარლამენტო კომისიების როლის გაზრდა და კონტროლი აღმასრულებელ ხელისუფლებაზე, მათ შორის — დანიშვნაზეც. რა თქმა უნდა, კონტროლის ფუნქცია საკანონმდებლო ორგანოებს ბევრ ქვეყანაში აქვთ, მაგრამ ჩვენს რეალობაში ეს კონტროლი აღმასრულებელ ხელისუფლების ფუნქციებში შეჭრად იქცევა. ჩვენთან ხომ სახელმწიფო ინსტიტუტები ჯერ არ ჩამოყალიბებულა და ხელისუფლების დაყოფის პრინციპი გაცნობიერებული არ არის. მახსოვს, რომ რასაც განათლების და მეცნიერების კომისიის თავმჯდომარე თემურ ქორიძე უზენაეს საბჭოში აკეთებდა, არაფრით განსხვავდებოდა იმისგან, რასაც აკეთებდა ცკას შესაბამისი განყოფილების გამგე ყოფილ საბჭოთა სისტემაში. ამბობდნენ, რომ ის იყო ანტიკომუნისტური პარლამენტი, მაგრამ, სინამდვილეში, ჩემი აზრით, მმართველობის კომუნისტური ფორმა მან ვერ დაძლია. ამიტომ, როდესაც ჩვენთან ლაპარაკია ძლიერ პარლამენტზე, ჩემი აზრით, ეს არის ნოსტალგია ხელისუფლების კონცენტრირებაზე, ხელისუფლების არგამიჯვნაზე. არც ერთ ქვეყანაში პარლამენტი ქვეყანას არ მართავს. სახელმწიფოს მართვა ოპერატიული საქმიანობაა და ეს არ შეიძლება, პარლამენტის ფუნქციაში შედიოდეს. ავტორიტეტული აღმასრულებელი ხელისუფლების შექმნისთვის საჭიროა, რომ ქვეყნის მმართველობის უშუალოდ განმახორციელებელი იყოს ასევე ხალხის მიერ დელეგირებული ძალა. წინააღმდეგ შემთხვევაში ვშიშობ, რომ პარლამენტი კვლავ შეეცდება ხელისუფლების უზურპირებას. ამიტომ ამ ეტაპზე აუცილებლად მიმაჩნია, ჩამოყალიბდეს ძლიერი პრეზიდენტის ინსტიტუტი, რომელიც პრაქტიკულად წარმართავს ქვეყნის მიმდინარე პოლიტიკას. მას უნდა გააჩნდეს ხალხის მხარდაჭერა. ეს იქნება აღმასრულებელი ხელისუფლების ფუნქციონირების გარანტია. თუ მართლა გვსურს ხელისუფლების გამიჯვნა და დემოკრატიისკენ მისწრაფება, მე მგონი, პრეზიდენტის ინსტიტუტი ამას ხელს შეუწყობს.

ორი სიტყვით შევეხები საარჩევნო სისტემას. ვიზიარებ იმ აზრს, რომ დღევანდელი რეალობის გათვალისწინებით, პარლამენტში, ალბათ, ყველა შემთხვევაში მიღებული იქნება გადაწყვეტილება არჩევნების პროპორციული სისტემით ჩატარების შესახებ. მართალი იყო ბატონი ოთარი, რომელმაც ბრძანა, რომ პროპორციული არჩევნები ხელს უწყობს პარტიული სისტემის ჩამოყალიბებას ქვეყანაში. თუმცა ამას დიდი ხარვეზიც ახლავს იმ სიტუაციაში, როდესაც პარტიებს მჭიდრო კავშირი არა აქვთ საზოგადოებასთან და ვერ გამოხატავენ საზოგადოების ფართო ფენების ინტერესებს. ამან შეიძლება გამოიწვიოს საზოგადოებისა და ხელისუფლების გაუცხოება ერთმანეთისაგან, რაც, ჩემი აზრით, დღესაც შეიმჩნევა. 90 პროცენტი იმ პრობლემებისა, რაც ჩვენს პარლამენტში დებატების და დისკუსიების საგნად იქცა, ჩვენს საზოგადოებას არ აღელვებს. ამიტომ, მე მაინც მხოლოდ ნაწილობრივ დავეთანხმები ბატონ ოთარს და ვფიქრობ, რომ რაღაც საშუალო უნდა გამოიძებნოს. ორპალატიან პარლამენტში იქნება მაჟორიტარული ზედა პალატა და მაშინ პროპორციული არჩევნები 5 პროცენტიანი ბარიერით მაინც უნდა შეიზღუდოს. რასაც ახლა ვიტყვი, ალბათ, პოლიტიკური პარტიების აღშფოთებას გამოიწვევს და ჩვენს კავშირშიც დიდი წინააღმდეგობა შემხვდება, მაგრამ, მე მგონია, რომ ჩვენ არა ვართ მზად წმინდა პარტიული არჩევნებისთვის. მაგალითისთვის ავიღოთ დემოკრატიულ ქვეყნებში მოქმედი პარტიები: უმეტესწილად, ესენი არიან პოლიტიკური ორგანიზაციები, რომლებიც ძირითადად საზოგადოების სტრუქტურირებულ ჯგუფებთან ამყარებენ ურთიერთობას და მათი მხარდაჭერით გარკვეული პოლიტიკოსები იღებენ წარმომადგენლობით ფუნქციას. ეს არ ნიშნავს, რომ გინდა თუ არა, ყველა ჩემი პარტიის წევრი გახდეს. პარტიები კავშირში არიან იმ ორგანიზაციებთან, რომლებიც უშუალოდ პოლიტიკაში არ მონაწილეობენ. ჩვენთან, რასაკვირველია, ეს სტრუქტურებიც არ არის ჩამოყალიბებული. არ არის, მაგალითად, ძლიერი პროფკავშირი, რომელიც რეალურად გამოხატავს გარკვეული ჯგუფის ინტერესებს, მაგრამ არის ცოტა სხვა ტიპის გაერთიანებები, მაგალითად, ვეტერანთა გაერთიანება. მე მგონი, ვეტერანებს ბევრად უფრო მეტი აქვთ საერთო ერთმანეთთან, ვიდრე, ვთქვათ, მოქალაქეთა კავშირის წევრებს. თუ პარტიული სიები იქნება, მე პირდაპირ ვიტყვი, რომ ჩვენ უშუალოდ ამ ხალხთან ვიმუშავებთ. ისინი თანაბრად იქნებიან წარმოდგენილნი ჩვენს სიებში, რამდენადაც, ჩემი აზრით, უკეთ გამოხატავენ საზოგადოების ინტერესებს, ვიდრე ზოგიერთი პარტიული აქტივისტი.

ოთარ მელქაძე: საზოგადოებასთან კავშირის გასამტკიცებლად, გარდა დარბაზისა, ედპ-ს წესდებაში პარტიის წევრობის ორი კატეგორია დაფიქსირდა — ე.წ. ნამდვილი წევრი და მხარის დამჭერი. აშშ-ში პოლიტიკური პარტიები წევრების რაოდენობას არჩევნების შედეგების მიხედვით ანგარიშობენ. ეს ციფრი ძალიან მერყევია. იმ პარტიებში ორგანიზაციული სტრუქტურა, წევრობა და მსგავსი ცნებები არ არსებობს. ეს არის ადამიანების წრე, რომლებიც იმ დროისათვის გარკვეულ განწყობილებას ქმნიან. ბატონო გია, თქვენ შენიშნეთ, გამოთქვით, რომ დემოკრატიულ სახელმწიფოებში პარტიულობის თვალსაზრისით ისეთი სურათი არ არის, როგორიც ჩვენთან. დაქუცმაცებული, მრავალპარტიული სისტემისგან რომ კლასიკური გზით წავიდეთ ორპარტიული სისტემისკენ, ისტორიულ ჭრილში უნდა ვიაზროვნოთ. ეს პროცესი ყველა სხვა სახელმწიფოშიც არსებობდა. თავიდან იქაც ათეულობით პარტია იყო, მაგრამ მერე სამართლებრივი ბაზა არეგულირებდა სისტემის ჩამოყალიბების პროცესს გარკვეული შეზღუდვების სახით. ჩვენ თუ ამ გზით არ ვიარეთ, დღევანდელ დონეზე დავრჩებით მომავალშიც. კონსტიტუციაც და საარჩევნო კანონმდებლობაც პროცესს უნდა ითვალისწინებდეს.

კონსტიტუციის ალტერნატიულ პროექტში ლაპარაკი იყო საარჩევნო ბარიერზე. ალბათ, იმასაც 5 პროცენტის შესაბამისად გაზრდიან. ეს უყველაფერი


ჯონი ხეცურიანი

ჯონი ხეცურიანი: არჩევნებზე ვიდრე ვისაუბრებდეთ, წინასწარ უნდა ვიცოდეთ, ვის ან რას ვაძლევთ ხმას. მე ვთქვი, და ეს ცნობილი ჭეშმარიტებაა, რომ დემოკრატიული სახელმწიფო წარმატებით ფუნქციონირებს როგორც რესპუბლიკური მართვა-გამგეობის, ისე კონსტიტუციური მონარქიის პირობებში. კონსტიტუციური მონარქია საპარლამენტო მონარქიაა. ხანგრძლივ მსჯელობას მოითხოვს, გვინდა თუ არა მონარქია ამ ეტაპზე. ვფიქრობ, რომ დღეს ეს ნაადრევია, თუმცა, დღის წესრიგიდან ეს საკითხი არ იხსნება. არჩევანი უნდა გავაკეთოთ რესპუბლიკური მმართველობის ფორმებს შორის — საპარლამენტო თუ საპრეზიდენტო. აქ ერთი საკითხი დგება. სამართლებრივი სახელმწიფოს იდეის თვალსაზრისით, ორივე დემოკრატიულია და ორივე უზრუნველყოფს ეფექტურ მართვას. ხელისუფლების დანაწილება იქაც არის და აქაც, ადამიანის უფლებების დაცვაზე აღარ ვლაპარაკობ. თუ გადავხედავთ 1921 წლის კონსტიტუციის დებულებებს, იქ საპარლამენტო რესპუბლიკაზეა საუბარი. ამიტომ არსებობს სერიოზული არგუმენტი საპარლამენტო რესპუბლიკის დასაცავად. მსოფლიო კონსტიტუციონალიზმის გამოცდილებას თუ გავითვალისწინებთ, მსოფლიოში არიან საპრეზიდენტო რესპუბლიკებიც და საპარლამენტოც. ორივე თანაბრად ფუნქციონირებს. ამიტომ, რომელიმე ქვეყანაზე მითითება არ გამოგვადგება. გერმანია საპარლამენტო რესპუბლიკაა — შესანიშნავია! აშშ საპრეზიდენტო რესპუბლიკაა და იქაც ძალიან კარგადაა მოწყობილი სახელმწიფოც, ცხოვრებაც, საზოგადოებაც.

ჩვენი სპეციფიკის გათვალისწინებით, მე მაინც საპარლამენტო რესპუბლიკას ვუჭერ მხარს. ჩემი პოზიციის დასამტკიცებლად რამდენიმე არგუმენტს შემოგთავაზებთ: საპარლამენტო რესპუბლიკა, თავისთავად, იმთავითვე გულისხმობს პოლიტიკურ პლურალიზმს, მრავალპარტიულობას, პარტიულ არჩევნებს. ხალხი ხელისუფლებაში მონაწილეობს ანუ თავის ხელმწიფებას ახორციელებს წარმომადგენლობითი ორგანოს მეშვეობით. ეს წარმომადგენლობითი ორგანო, როგორც წესი, პარლამენტია, თუმცა, შეიძლება მას სხვადასხვა სახელი ეწოდოს. შემდეგ პარლამენტი აღმასრულებელ ხელისუფლებას ქმნის. წყალგამყოფი საპრეზიდენტო და საპარლამენტო რესპუბლიკას შორის სწორედ აქ დევს: რამდენად პასუხისმგებელია მთავრობა — აღმასრულებელი ხელისუფლება პარლამენტის წინაშე. თუ იგი პასუხისმგებელია პარლამენტის წინაშე, ეს არის საპარლამენტო რესპუბლიკა, თუ იგი არ არის პასუხისმგებელი პარლამენტის წინაშე, ეს არის საპრეზიდენტო რესპუბლიკა. ოღონდ, საპრეზიდენტო რესპუბლიკის დროს პრეზიდენტს, როგორც წესი, ირჩევს ხალხი პირდაპირი საყოველთაო არჩევნებით. პრეზიდენტი აყალიბებს აღმასრულებელ ხელისუფლებას და თავად უდგას სათავეში. ლეგიტიმაციის წყარო ორივე შემთხვევაში ერთნაირია. ახლა ჩვენი პირობები წარმოვიდგინოთ. ჩვენთან პოლიტიკური პარტიები მნიშვნელოვან როლს შეასრულებენ პოლიტიკურ ცხოვრებაში. ავიღოთ შემთხვევა, როცა საპრეზიდენტო რესპუბლიკის პირობებში პრეზიდენტმა, რომელიც ერთ-ერთი პოლიტიკური პარტიის ლიდერია, პარლამენტში ვერ მოიპოვა უმრავლესობა, პარლამენტი კი სხვადასხვა პარტიებით არის დაკომპლექტებული. ამ პარტიების ბლოკმა შეადგინა ნახევარზე მეტი, მაშინ გარდუვალია დაპირისპირება პარლამენტსა და აღმასრულებელ ხელისუფლებას შორის, პარლამენტსა და პრეზიდენტს შორის. ეს დაპირისპირება ვნახეთ ჩვენთანაც და რუსეთშიც. აქ განმმუხტავი მექანიზმები ვერ გვიშველის, რადგან პოლიტიკური კულტურა ჩვენში ძალიან დაბალია. ეს მექანიზმებია საკონსტიტუციო სასამართლო ან რეფერენდუმი. რომელი მხარეც მათ მიმართავს, კიდევ მეტად გაამწვავებს კონფლიქტს და ხალხის ერთმანეთთან დაპირისპირებას. ამას მოჰყვება აღმასრულებელი ხელისუფლების ბლოკირება. ისიც არ დავივიწყოთ, რომ კლასიკური საპრეზიდენტო რესპუბლიკის პირობებში პრეზიდენტს პარლამენტის დათხოვნის უფლება არ ექნება. ამ დროს ხელისუფლება პარალიზებულია და, პრაქტიკულად, ვერ ხორციელდება. ეს გამოიწვევს ხელისუფლების პარალიზებას ადგილებზეც. დადგება ორიენტაციის საკითხი.

ყველაზე მარტივი და ეფექტური სახე არის საპარლამენტო რესპუბლიკა, რომლის დროსაც ხალხი ირჩევს წარმომადგენლებს პარლამენტის სახით. იმის მიხედვით, პარტიებმა ხმების რა რაოდენობა მოაგროვეს, დააკომპლექტებენ მთავრობას და მთავრობა იქნება პარლამენტით უზრუნველყოფილი — მას ყოველთვის ექნება პარლამენტის მხარდაჭერა. თუკი მთავრობა, ან მისი ცალკეული წარმომადგენელი საქმეს თავს ვერ გაართმევს, მაშინ პარლამენტის ის ნაწილი, რომელიც უმრავლესობას წარმოადგენს, თვითონ არის დაინტერესებული მისი შეცვლით, რომ არ წააგოს მომავალი არჩევნები. თუ რამდენიმე ძლიერი პარტიაა, კოალიციური მთავრობა ჩამოყალიბდება, მთავრობაში ცვლილებების საკითხები კი შეთანხმების საფუძველზე გადაწყდება. ამიტომ, ჩვენთან მხოლოდ ის მთავრობა გაძლებს, რომელსაც ექნება საპარლამენტო უზრუნველყოფა, პარლამენტის მხარდაჭერა და ნდობა. საპრეზიდენტო რესპუბლიკის დროს, ის მთავრობა, რომელიც პარლამენტის ნდობას ვერ დაიმსახურებს, არსად არ წავა, დარჩება ადგილზე და შეიქმნება გადაულახავი წინააღმდეგობა. მეორეც: ზოგადად პოლიტიკური კულტურა და ცნობიერება შემოიტანა არა პრეზიდენტმა ან მონარქმა, არამედ — პარლამენტარიზმმა. ჩვენთან, ამ ბოლო ხანებში, პარლამენტის დისკრედიტაციის პროცესი მიმდინარეობს: ეს ძალიან ცუდია. სხვათა შორის, ამას ის ხალხი აკეთებს, ვინც პარლამენტში ზის ან პარლამენტს ხელმძღვანელობს. ეს ხომ აბსურდია! ამ დროს მთელი პასუხისმგებლობა არსებული სოციალური და ეკონომიკური, თუნდაც პოლიტიკური მდგომარეობის გამო, კისერზე აწევს აღმასრულებელ ხელისუფლებას — მთავრობას. მაშინ, როცა მთავრობას არავინ ახსენებს. ხალხს ჰგონია, რომ ცუდი მდგომარეობა პარლამენტიდან მოდის, მაგრამ თავად განსაჯეთ: წესრიგისთვის, ცხადია, აღმასრულებელ ხელისუფლებას უნდა მოვკითხოთ პასუხი, ამისთვის მთელი სამართალდამცველი სისტემა არსებობს. ასევე უნდა მოვიქცეთ სხვა პრეტენზიების დროსაც. პარლამენტის მთავარი ფუნქცია საკანონმდებლო საქმიანობაა, მაგრამ, ამასთან, მას ევალება აღმასრულებელ ხელისუფლებაზე საერთო კონტროლიც. სხვა არგუმენტებიც არსებობს საპარლამენტო მმართველობის სასარგებლოდ: ჩვენ ვიმყოფებით პოსტკომუნისტურ, პოსტსაბჭოთა პერიოდში, ამიტომ ძალზე საშიშია ერთი პიროვნების გამოკვეთა და მასზე აქცენტის გადატანა. პრეზიდენტია საპრეზიდენტო რესპუბლიკის დროს, ფაქტობრივად, გარეგან ატრიბუტებს მოკლებული მონარქი. ეს არის ერთპიროვნული ხელისუფლება, ერთპიროვნული მმართველობა.

— მაგრამ, როგორც თქვენ ბრძანეთ, ამ პირობებშიც ხომ ხორციელდება სახელმწიფოს დემოკრატიული მართვა?

ჯონი ხეცურიანი: ხორციელდება, მაგრამ გააჩნია კონკრეტულ პირობებს. ხელაღებით კი არ ვამბობ, რომ საპრეზიდენტო რესპუბლიკა ცუდია და არ შეიძლება, მე კვლავ ჩვენს პირობებზე ვაკეთებ აქცენტს. ზოგადად კონსტიტუციური მონარქიაც შესანიშნავია და, კი ბატონო, საპრეზიდენტო რესპუბლიკაც. მაგრამ ჩვენს ქვეყანაში და მეზობელ სახელმწიფოებში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების გათვალისწინებით მიმაჩნია, რომ საპარლამენტო რესპუბლიკა მეტ გარანტიას იძლევა, რომ კონფლიქტი არ მოხდეს ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში. მთავრობას, რომელმაც დღეს რეფორმები უნდა განახორციელოს, სათანადო საკანონმდებლო ბაზა დასჭირდება. თუ ამ მთავრობას პარლამენტში არ აქვს მხარდაჭერა, პარლამენტი მუდამ მის საწინააღმდეგოდ მოიქცევა და ბლოკირებას გაუკეთებს. ეს ჩვეულებრივი ამბავია ანუ პარლამენტის მოქმედების საშუალებაა, მისი მოქმედების იარაღი. რატომ უკვირს ვინმეს, რომ დღეს პარლამენტმა მთავრობას არ დაუმტკიცოს ბიუჯეტი? მისი ზემოქმედების საშუალება სწორედ ეს არის. თუკი მთავრობა დაკომპლექტებული იქნება პარლამენტის მიერ, პარლამენტის უმრავლესობის მიერ, ჩათვალეთ, რომ მთავრობა რა საკითხებსაც დააყენებს, რა თქმა უნდა, გონივრულობის ფარგლებში, ის სათანადო მხარდაჭერას ჰპოვებს.

— დღეს ვისგან არის მთავრობა დაკომპლექტებული? მოგვიანებით, მაგრამ საპარლამენტო უმრავლესობამ ხომ დაუჭირა მას მხარი?

ჯონი ხეცურიანი: — დღეს მე ვერ გეტყვით, ვისგან არის დაკომპლექტებული მთავრობა. ჩვენთან რა სისტემაც არის, მსგავსი ბუნებაში არსად არსებობს. ახეთი ვინეგრეტი არავის მოუგონია. დიდი დაპირებები იყო, ჩვენგან გადაიღებენ ამასო, მაგრამ ჩვენგან, ჭირჭირობით, არავის არაფერი გადაუღია, არც გადაიღებენ. ეს ალბათ, ქრესტომათიული ნიმუში იქნება იმისა, როგორ არ უნდა მოაწყო სახელმწიფო. მართალია, პარლამენტის მიერ დაკომპლექტებული მთავრობა გვყავს, მაგრამ, როდესაც იგივე პარლამენტი პასუხს ითხოვს მისგან, მთავრობა ამას ავადმყოფურად განიცდის. იქმნება აჟიოტაჟი და ისტერია. დღეს მთავრობის 4 თუ 5 წევრი დაუმტკიცებელია. 8 თვეა მოვალეობას ასრულებენ, პარლამენტს კი ისინი არ დაუმტკიცებია. ან თუ შეიძლება, ერთი და იგივე ადამიანი მინისტრთა კაბინეტის წევრიც იყოს და პარლამენტისაც? ეს ხომ ჩვენს მიერვე მიღებული კანონით არის აკრძალული.

გია ჟორჟოლიანი: — არეულობები და გაუგებრობები, შეიძლება, საპარლამენტო მმართველობის დროსაც მოხდეს. მაგალითად, მე ვფიქრობ, ელცინს რომ რუსეთში ის ძალაუფლება არ ჰქონდეს, რაც დღეისთვის გააჩნია, პარლამენტს კი უფრო მეტი უფლებამოსილება გააჩნდეს, ეს რუსეთისთვის კიდევ უფრო მძიმე შედეგებს გამოიღებდა.


ოთარ მელქაძე

ოთარ მელქაძე: შეიძლება საპარლამენტო მმართველობის მოდელი ავიღოთ, შეიძლება — საპრეზიდენტო მმართველობისა. ჩვენი რეალობიდან გამომდინარე, შეიძლება ისეთი სიტუაცია ჩამოყალიბდეს, რომელიც კონფლიქტში გადაიზრდება და ხელისუფლების პარალიზებას გამოიწვევს. მე ვამბობ, რომ არჩევნები უნდა ჩატარდეს, რასაკვირველია, პროპორციული წესით, მაგრამ ბარიერი უნდა იქნას დაწესებული. წვრილფეხა პარტიები პარლამენტში არ უნდა მოხვდნენ. ასე ხდება ნებისმიერ ქვეყანაში და ყველა წინასწარ იღებს ამისთვის ზომებს. დღევანდელი პარლამენტის არჩევის დროს ბევრი პარტია იღებდა მონაწილეობას არჩევნებში. სახელმწიფოს მეთაურმა ახსენა კიდეც, რომ მაშინ ეს ასე იყო საჭირო. რა გამოიწვია აღნიშნულმა ფაქტმა? არის პარლამენტში პარტიები, რომლებიც მხოლოდ ერთი-ორი პარლამენტარითაა წარმოდგენილი. მათთან შეთანხმება ძალიან ძნელია. ვიმეორებ, აუცილებლად უნდა დაწესდეს ბარიერი. რა თქმა უნდა, პარლამენტში უნდა ჩანდეს გარკვეული სპექტრი, მაგრამ განსაზღვრული სახით. არ შეიძლება 100-კაციან პარლამენტში წარმოდგენილი იყოს 30 პარტია. პარლამენტში წარმოდგენილი უნდა იყოს მხოლოდ ძირითადი პოლიტიკური ძალები, ისინი, ვინც გარკვეულ როლს თამაშობენ პოლიტიკაში და არა ისინი, რომლებიც ნაწვიმარზე მომრავლებული სოკოებივით გაჩნდნენ. უპარტიოთა პარტიაც კი შეიქმნა. უნდა მივეჩვიოთ ახალი ცხოვრების წესებს. პარტია უნდა განვასხვავოთ სხვა საზოგადოებრივი დაჯგუფებებისგან. საზოგადოებრივი გაერთიანება, რომელსაც პოლიტიკური მიზანი არა აქვს და არ უნდა ხელისუფლებაში მოსვლა, არის სხვა ინტერესებით გაერთიანებული. არის რაგბისტთა ასოციაცია, მონადირეთა კავშირი, მეთევზეთა საზოგადოება, მათ არა აქვთ პოლიტიკური მიზანი. როდესაც საუბარია პოლიტიკაზე, საზოგადოებრივ ცხოვრებაზე, იქ საუბარი უნდა იყოს პოლიტიკურ პარტიებზე, რომელთა მიზანია საზოგადოებრივი აზრის ფორმირება, გავლენა მასებზე და ხელისუფლების სადავეების მოპოვება.

— დღეს არსებული ვითარების პირობებში, თქვენს მიერ აღნიშნულ ბარიერს, ალბათ, ოთხი-ხუთი პარტიის მეტი ვერ გაივლის. პარტიათა ინტერესები საზოგადოებრივ ინტერესებთან არც ისე ახლოსაა და მათი პოზიციები პოპულარობით არ სარგებლობს. თავად პარტიებიც, სოციალური ფენების ინტერესთა გამოხატვის თვალსაზრისით არ არიან კლასიფიცირებულნი. მაინც რა ნიშნით განსხვავდებიან ისინი ერთმანეთისგან?

ოთარ მელქაძე: მე ვფიქრობ, რომ ყოველთვის არ შეიძლება დაემთხვეს სოციალური ფენებისა და პარტიების ინტერესები ერთმანეთს. მინდა განვაცხადო ხმამაღლა და კატეგორიულად: თუ პარტიული პოლიტიკისკენ ნაბიჯი არ გადავდგით, ჩვენი საშველი არ იქნება. მივიღებთ მახინჯ საზოგადოებას და მახინჯ სახელმწიფოს. ყველა ქვეყანამ ასე დაიწყო, ეს ფაზა ყველამ გაიარა. დღეს თუ ვერ მოვახერხეთ, მომავალ არჩევნებში მოვახერხებთ, მომავალში თუ ვერა — კიდევ იქეთ არჩევნებში მოხერხდება, მაგრამ ამ გზით უნდა წავიდეთ. მე გეკითხებით: ამჟამად რომელი ორგანო იქნება ზუსტად ამსახველი იმ სოციალური სპექტრისა, რაც დღეს საქართველოშია? რა ორგანო უნდა იყოს და რა წესით შეიძლება ავირჩიოთ?

პრეზიდენტს ირჩევს მთელი ხალხი, — მოსახლეობა. აირჩიონ, კი ბატონო, იყოს საპრეზიდენტო რესპუბლიკა. ვაყენებ საკითხს: პარლამენტიც ხომ უნდა ავირჩიოთ? რა წესით ავირჩევთ? პარლამენტში რომ პარტიები და ფრაქციები დაჯგუფდება, პრეზიდენტი რას უზამს იმათ, როდესაც პრეზიდენტის ფრაქცია ვერ გაიმარჯვებს?

გია ჟორჟოლიანი: ჩვენს სინამდვილეში პარტიები ცოტა სხვა პრინციპით შეიქმნა. ამის მთავარი მიზეზი გახლდათ ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური ცხოვრება. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ჩვენთან ჩამოყალიბებული პარტიები თავდაპირველადვე არ იყვნენ რაღაც გარკვეული ეკონომიკური ინტერესების გამომხატველი დაჯგუფებები. ეს იყო სრულიად სხვა პრინციპებით — ერთმანეთთან თანამშრომლობის, ახლობლობის, ნაცნობობის საფუძველზე შექმნილი ჯგუფები. მათი საერთო მისწრაფება გახლდათ დამოუკიდებლობისთვის ბრძოლა. რაღაც პერიოდისთვის ჩვენ შევძელით აღნიშნული ამოცანის განხორციელება, რაც გარეთ შექმნილმა ვითარებამ და საზოგადოების აქტივობამაც განაპირობა. მაგრამ დღეს იწყება ეკონომიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების ფორმირება. ის პარტიები, რომლებიც მოახერხებენ სოციალურ-პოლიტიკური ძალების ჩამოყალიბებას, გაიმარჯვებენ. მაგრამ ეს არ უშველის საქმეს. მოხდება ისევ გაუცხოება ხელისუფლებასა და საზოგადოებას შორის. ისევ საზოგადოება მოძებნის იმ მექანიზმებს, რომლის მეშვეობითაც ჩამოყალიბდება თავად საზოგადოების ინტერესების გამზიარებელი და დამცველი პოლიტიკური პარტიები — ან ახლები შეიქმნება, ან ზოგიერთი პარტია შეერთდება. პროცესები პარალელურად უნდა განვითარდეს. უნდა იყოს სამართლებრივი ხელშეწყობა და პროპორციული არჩევნები ამას ნაწილობრივ უზრუნველყოფს. თუ მართლა დამკვიდრება სურთ პარტიებს, რომლებსაც პრეტენზია აქვთ გავლენაზე და პოლიტიკური ცხოვრების წარმართვაზე, უნდა მოძებნონ საზოგადოებასთან კონტაქტის მექანიზმები.

დღეს, ავად თუ კარგად, დაწყებულია რეფორმა. ამ მთავრობამ კიდეც რომ მოინდომოს, რეფორმა მაინც განხორციელდება. სასურველი და მიზანშეწონილია, რომ ეს პროცესი წავიდეს ევოლუციური გზით. უკან დაბრუნება შეუძლებელია — იმ სისტემისკენ, რომელშიც ვცხოვრობდით, ველარ მივბრუნდებით. ჩემი აზრით, ის რაც გუშინ და გუშინწინ მოხდა, ნიშანია, რომ სახელმწიფოებრიობისკენ მივდივართ. შეიძლება ვთქვათ, რომ 3-4 თვის ან ნახევარი წლის წინ ეს ასე არ იყო. ყველაფერი რომ მაშინ მოგვენდომებინა, სხვა გზები და სხვა მექანიზმები უნდა ამუშავებულიყო. მომავალი არჩევნებიც ბევრ რამეს გამოაჩენს. მე არ ვფიქრობ, რომ ხუთი პარტია გადალახავს 5 პროცენტიან ბარიერს. ჩემი აზრით, ასეთი პარტიები უფრო ნაკლებნი იქნებიან. ამიტომ მგონია, რომ ახალი არჩევნები უკეთეს შედეგებს მოგვიტანს, ვიდრე გასული.

— ხომ შეიძლება, რომ საპარლამენტო მმართველობის პირობებში უმრავლესობა ვერ ჩამოყალიბდეს და ეს იქცეს ახალი პრობლემების გამომწვევ მიზეზად?

გია ჟორჟოლიანი: როგორ არა, შეიძლება უმრავლესობა ვერავინ მიიღოს და, პრაქტიკულად, ვერ დააკომპლექტოს მთავრობა. ეს იქცევა მუდმივი დისკუსიისა და კამათის მიზეზად. ჩვენს შემთხვევაში, ყველაფერი ისე ადვილად არ იქნება, როგორც, ვთქვათ, იტალიაშია. იქ ხელისუფლების და სახელმწიფოებრიობის მკაცრი ინსტიტუტები ფუნქციონირებს. დღეს ჩვენთან ხელისუფლების ინსტიტუტი, ფაქტობრივად, საზოგადოებაში პიროვნებების ავტორიტეტით უფრო განისაზღვრება. სახელმწიფო ინსტიტუტები ჩამოყალიბებული არ არის. კოალიციური მთავრობის შედგენა ადვილი არ არის. მე დარწმუნებული ვარ, ეს მთავრობა ბიუჯეტის მიუღებლობის გამო რომ გადამდგარიყო, ჩვენ რამდენიმე თვის განმავლობაში, და შეიძლება საერთოდაც, ვერ მოვახერხებდით მთავრობის ჩამოყალიბებას.

ოთარ მელქაძე: ჩვენ ყველაფერს ვაფასებთ დღევანდელი დღიდან და უახლოესი მომავლიდან გამომდინარე. მეც ვფიქრობ, რომ შეიძლება ხუთმა პარტიამ მართლა ვერ გადალახოს ბარიერი. პარტიათა რიცხვი რაც უფრო ნაკლები იქნება, მით უფრო გაიოლდება მთავრობის ფორმირება.

იქნებ ყველამ გავაკეთოთ ისეთი აქცენტები, რომ ჩვენმა საუბარმა სურვილი გამოიწვიოს სხვებში, გამოთქვან თავიანთი აზრი. იქნებ ეს ფორმაც არის იმისა, რომ პარტიები და ფრაქციები განხილვების დროს ერთმანეთს კი არ დაეჭახოთ, არამედ ჯანსაღი მსჯელობა გაიმართოს. იცით თქვენ, რომ ჩატარდა ედპ-ს VII ყრილობა, სადაც მე ვხელმძღვანელობდი საკონსტიტუციო სექციას, ამიტომ საკუთარის გარდა განზოგადებული აზრის წარმომადგენელიც ვარ განხილვის დროს.

იქნებ ვინმემ გამოთქვას თავისი აზრი, მთავრობის ფორმირება საპრეზიდენტო წესით მოხდეს თუ საპარლამენტო. არსებობს მოსაზრება, რომ გამოვიყენოთ ამერიკული ვარიანტი. აღნიშნული ვარიანტისთვის ჩვენ ძალიან მოუმზადებლები ვართ. მოუმზადებლები ვართ პარტიული დისციპლინის, საზოგადოებრივი აზრის, სოციალურ-ეკონომიკური და სხვა პარამეტრების თვალსაზრისითაც. ამიტომ, როდესაც გვინდა მყარი კონსტიტუციის შექმნა, საზოგადოებრივი აზრის აპრობაციაზე ფიქრი სასარგებლოა კონსტიტუციისთვისაც და პარლამენტისთვისაც.

ჯონი ხეცურიანი: ჩემი აზრით, საპრეზიდენტო რესპუბლიკაც კარგია და საპარლამენტოც. არ შეიძლება გადაჭრით იმის თქმა, რომ ერთი კარგია და მეორე — ცუდი. არც იმაზე აქცენტის გაკეთება შეიძლება, რომ, თუკი ვინმე მხარს უჭერს ერთს, იმას კარგი უნდა საქართველოსთვის და ვინც მეორის მომხრეა, იმას — ცუდი. ჩვენ უნდა ავარჩიოთ ის მოდელი, რომელიც უკეთესი იქნება ჩვენი ქვეყნისთვის, რომელიც ჩვენს პირობებს მიესადაგება, რომელიც აუცილებელი და მიზანშეწონილია საქართველოსთვის. ამიტომ უნდა გაიმართოს არგუმენტირებული დისკუსიები ამ საკითხთან დაკავშირებით. მე დღეს გამოვთქვი ჩემი მოსაზრება, მაგრამ ხვალ შეიძლება ვიღაცამ დამარწმუნოს, რომ საპრეზიდენტო რესპუბლიკა აჯობებს. ამაში მე დიდ ტრაგედიას ვერ ვხედავ. ჯობია დავფიქრდეთ, ვიმსჯელოთ. შეიძლება მართლაც მოინახოს ახალი მოდელი, რომელიც გარკვეულად შეამსუბუქებს კონფლიქტურ სიტუაციებს, უფრო ეფექტურს გახდის ხელისუფლების უმაღლესი ეშელონის ფუნქციონირებას. არ შეიძლება იმის ერთპიროვნულად მტკიცება, რომ ჩვენ ძლიერი ხელისუფლება გვინდა და სწორედ ამიტომ ვუჭერთ მხარს საპრეზიდენტო მმართველობას. არანაკლებ ძლიერი ხელისუფლებაა საპარლამენტო მმართველობის დროს, როდესაც მკვეთრად არის გამიჯნული საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ფუნქციები. საკვანძო საკითხი მაინც აღმასრულებელი ხელისუფლების დაკომპლექტების საკითხია — ვის წინაშე იქნება იგი პასუხისმგებელი.

ეს არჩევანი უნდა გაკეთდეს არგუმენტების მოშველიებით. საკითხი როგორც გადაწყდება, მივიჩნიოთ, რომ ეს არის ჩვენი ბედიც და ისტორიული პროცესიც ამას მოითხოვდა.

გია ჟორჟოლიანი: მე მგონი ის აზრი, რაც ბატონმა ჯონიმ ჩამოაყალიბა, ჩვენი საუბრის ერთგვარი რეზიუმეც არის. მე ვიზიარებ მის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ არგუმენტებია მთავარი და არავინ უნდა მიუდგეს საკითხს, როგორც ახირებულ აზრს. მთავარია, რომ ის ვარიანტი, რომელსაც ჩვენ მივიღებთ, ასახავდეს დღევანდელ რეალობას.

ძალიან მნიშვნელოვანი იქნება პრობლემისადმი არა მხოლოდ პოლიტიკური ჯგუფების, არამედ საზოგადოების დამოკიდებულებაც. მე მივესალმები, რომ დღევანდელი საუბრისას ყველამ დიდი მნიშვნელობა მიანიჭა ამ გარემოებას. ხალხი მიიღებს იმას, რაც წინასწარ გააზრებული ექნება და მზად იქნება ამ წესით იცხოვროს და იმუშაოს.

ოთარ მელქაძე: დაახლოებით იგივე აქცენტით დავამთავრებ, რითაც დავიწყე. ის, რაზედაც დღეს ვმსჯელობთ, რეალობის თვალსაზრისით უნდა შეფასდეს. მიზანშემართული პროგრამით რომ წასულიყო კონსტიტუციის პროექტის მომზადება, დამუშავება და მიღება, მოსაზრება არგუმენტებით კამათისა და დებატების გამართვის თაობაზე უსიტყვოდ მისაღები იქნებოდა. მე ძალიან მაფიქრებს, რომ ჩვენი მოსახლეობის სამართლებრივი განათლების დონე, ინფორმაციის უქონლობა იმის თაობაზე, თუ როგორ და რა სახით ყალიბდება კონსტიტუციის პროექტი, არგუმენტების ცოტა გაუფასურებას. სერიოზული არგუმენტები მოსახლეობას წარვუდგინოთ, მაგრამ ეს უნდა გაგვეკეთებინა წლეიწადნახევრის განმავლობაში. ერთი პერიოდი გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ იბეჭდებოდა კონსტიტუციასთან დაკავშირებული მასალები. თქვენს გაზეთს შეუძლია დარჩენილი პერიოდი გამოიყენოს აღნიშნული ხარვეზის შესავსებად, მაგრამ არგუმენტები უბრალო მკითხველისთვის გასაგები და მისაღებ ენაზე უნდა იყოს ჩამოყალიბებული. მან ისინი უნდა დაუპირისპიროს აქამდე ჩამოყალიბებულ მოსაზრებებს და სწორი დასკვნები გააკეთოს.

კავკასიონი
ოთხშაბათი, 18 იანვარი, 1995

# ჩრდილოკავკასიური დიასპორა არაბულ ქვეყნებში

გასული საუკუნის 60-იან წლებში ანექსირებული და დღეს რუსეთის განუყოფელ ნაწილად გამოცხადებული ჩრდილოეთი კავკასია მსოფლიოს ყურადღების ცენტრშია. ჩეჩნეთის კონფლიქტმა — საერთაშორისო რეზონანსი მიიღო და კონფესიური პოზიციებიდან საპროტესტო მოძრაობა დაიწყო მუსლიმურ ქვეყნებში. მოვიდა ცნობები, რომ ჩეჩნებს დახმარება აღმოუჩინეს თანამემამულეებმა მახლობელი აღმოსავლეთის არაბული ქვეყნებიდან, მაგრამ საიდან მოხვდნენ ისინი იქ?

ჩრდილოკავკასიური ეთნიკური ელემენტის გავრცელება-დამკვიდრებას მახლობელ აღმოსავლეთში ხანგრძლივი ისტორია აქვს. ჩერქეზი მამლუქები გვხვდებიან უკვე XII საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში ეგვიპტე-სირიის სახელგანთქმული სულტნის სალადინის არმიაში. 1382-1517 წლებში, მანამდე, ვიდრე ოსმალეთი დაიპყრობდა ეგვიპტესა და სირია-პალესტინას, ამ ქვეყნებს განაგებდნენ ჩერქეზული (ე.წ. ბურჯის) დინასტიის მამლუქი სულტნები. სახელწოდება ჩერქეზი გამოიყენებოდა და დღესაც გამოიყენება არა მარტო ადიღეელთა და ენობრივად მათი მონათესავე ყაბარდოელთა, არამედ ზოგადად ყველა ჩრდილოკავკასიელის აღსანიშნავად. მონათვაჭრობის გზით ეგვიპტესა და სირიაში მოხვედრილი ჩერქეზი მამლუქების შთამომავლები თანდათან გაითქვიფნენ ადგილობრივ არაბულ მოსახლეობაში, შეითვისეს არაბული ენა და მიიღეს არაბული კულტურა. მათი კვალი დღეს მხოლოდ ზოგიერთმა ტოპონიმმა და გვარ-სახელმა შემოგვინახა.

ჩრიდლოკავკასიელთა ახალი დიდი მიგრაცია მშობლიური ადგილებიდან მახლობელ აღმოსავლეთში დაიწყო გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან. კავკასიის ომის დასრულებისა (1864 წ.) და ჩრდილოეთ კავკასიის დაპყრობის შემდეგ, ცარიზმის აგენტების აქტიური ხელშეწყობითა და ოსმალეთის იმპერიის მმართველი წრეების რელიგიური პროპაგანდით მოტყუებულმა ათასობით ჩრიდლოკავკასიელმა: ადიღეელებმა და ყაბარდოელებმა, ჩეჩნებმა და ინგუშებმა, ბალყარებმა და ყარაჩაელებმა, დაღესტნელმა ხუნძებმა, ლეკებმა და სხვ. დაიწყეს მშობლიური ადგილების დატოვება და ოსმალეთის იმპერიაში გადსახლება-მუჰაჯირობა. ეს იყო ამ ხალხების და მათი ლიდერების უდიდესი შეცდომა. ემიგრანტებმა — მუჰაჯირებმა თავიანთი შეცდომა მალე გააცნობიერეს, მაგრამ მათი უკან დაბრუნება შეუძლებელი გახდა. გადასახლებულთა საცხოვრებელი ადგილები რუსმა კოლონისტებმა დაიკავეს, რითაც მნიშვნელოვნად შეიცვალა ჩრდილოეთი კავკასიის ეთინიკური რუკა.

მუჰაჯირები — ჩრიდლოკავკასიელი ემიგრანტები, რომელთა რიცხვი ზოგიერთი მონაცემით თითქმის 1,5 მილიონი იყო, ჩაასახლეს ანატოლიაში, ბალკანეთსა და რუსეთ-თურქეთის სასაზღვრო ზოლში. მალე ჩრდილოკავკასიელებმა შეადგინეს ოსმალეთის იმპერიის ყველაზე ბრძოლისუნარიანი შენაერთები, რომლებიც თავგამოდებით იბრძოდნენ რუსეთის წინააღმდეგ. ამავე დროს, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მათ ცუდი როლი ითამაშეს ოსმალთა მიერ დაპყრობილი ბალკანეთის ხალხების, სომხებისა თუ ქურთების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ჩახშობაში.

1878წ. 13 ივნისს, ბერლინის კონგრესის გადაწყვეტილებით, ოსმალეთის მთავრობას დაევალა, რომ ჩრიდილოკავკასიელი მუჰაჯირები აეყარა იმ მიწებიდან, რომლებიც წარმოადგენდნენ რუსეთთან საომარი მოქმედებების ასპარეზს. დაიწყო მათი გაყვანა-განსახლება ოსმალეთის შიდა პროვინციებში, მათ შორის არაბულ ქვეყნებში, განსაკუთრებით სირიასა და იორდანიაში.

სირიაში (რომელიც იმ დროს მოიცავდა იორდანიას და პალესტინასაც) ოსმალეთის ხელისუფლებამ ჩრიდლოკავკასიელი მუჰაჯირები ჩაასახლა იმ ზოლში, რომელიც ერთმანეთისგან ჰყოფდა უდაბნოს მომთაბარე და მიწათმოქმედ ბინადარ მოსახლეობას. ეს ზოლი ვრცელდებოდა რას ალ-აინიდან (ჩრდილოეთი სირია) — ამანამდე (იორდანია).

სირიაში ჩრდილოკავკასიელთა გადასახლება მიმდინარეობდა 1912 წლამდე. მუჰაჯირთა რიცხვი ზუსტად უცნობია. ჩვენი საუკუნის 80-იან წლებში არაოფიციალური მონაცემებით მათი რაოდენობა დაახლოებით 70 ათასს შეადგენდა. სირიაში შეიქმნა მუჰაჯირთა განსახლების სამი დიდი კერა: ქვეყნის სამხრეთში, ცენტრალურ და ჩრდილოეთ ნაწილებში. სამხრეთში ჩრიდლოკავკასიელთა მნიშვნელოვანი დასახლება იყო გოლანის სიმაღლეებზე და მათ ადმინისტრაციულ ცენტრში კუნაიტრაში. აქ იყო თავმოყრილი მუჰაჯირ ადიღეელთა და ყაბარდოელთა 35 , მათ გარდა კუნაიტრაში ცხოვრობდნენ ჩეჩნები, დაღესტნელები, მუსლიმი ოსები, რომელთაც კუშხას უწოდებენ და აბაზები. ამ სახელით იწოდებიან როგორც ჩრდილოკავკასიელი აბაზები, ისე აფხაზები, რომელთა საერთო რაოდენობა სირიაში არცთუ დიდი. ხნის წინათ, ჩვენი მონაცემებით, ათასს არ აღემატებოდა. 1967 წლის ივნისის ექვსდღიან ომში ისრაელმა დაამარცხა არაბული ქვეყნები, მათ შორის სირია, დაიკავა გოლანის სიმაღლეები და მთლიანად დაანგრია კუნაიტრა. აქ მცხოვრები ჩრდილოკავკასიელთა დიდი ნაწილი იძულებული გახდა დამასკოში გადასახლებულიყო. დამასკოს ორი დიდი უბანი — მუჰაჯირთა და რუქნ ადდინისა ჩრიდლოკავკასიელთა მიგრაციის ტალღებმა წარმოქმნა.

ჩრიდლოკავკასიელთა დასახლებებია ცენტრალური სირიის ქალაქების ჰომსისა და ჰამას აღმოსავლეთით. აქ ცხოვრობენ ადიღეელები, დაღესტნელი ხუნძები და ლაკები. ჰომსის ჩრდილო აღმოსავლეთით არის ყაბარდოელთა სოფლები, ხოლო თვით ჰომსში ყაბარდოელთა უბანი ჯურათ შეიხი.

ჩრდილოკავკასიელ მუჰაჯირთა შთამომავლები ცხოვრობენ ქ.მანბიჯში, ჰალაბის მუჰაფაზათში, რაკკაში. ჩრდილოეთ სირიაში მათი ყველაზე მნიშვნელოვანი დასახლებაა რას ალ-აინში, თურქეთის საზღვართან. აქ უპირატესად ჩეჩნები ცხოვრობენ.

იორდანიაში ჩრდილოკავკასიელები პირველად 1878 წელს გამოჩნდნენ. იმ დროს ქვეყნის დღევანდელი დედაქალაქი მშვენიერი ამანი ანტიკური ხანის ნანგრევებს წარმოადგენდა. შაფსუღთა ადიღეურმა ტომმა რომაული ხანის ამფითეატრში დაიდო ბინა. მათ მალე შეემატნენ ყაბარდოელები, ხოლო 1902-1911 წლებში — ჩეჩნებიც. ამანის განაშენიანება-გაქალაქება მუჰაჯირთა მოღვაწეობის შედეგია. მიგრაციის კიდევ ერთი მცირე ტალღა იყო 1948წ. იორდანიის მეფემ აბდ ალაჰმა მიიღო ჩერქეზთა 100 კაციანი ჯგუფი რომიდან, რომელთაც, როგორც საბჭოთა მოქალაქეებს, ნაცისტებთან თანამშრომლობის გამო, საბჭოთა კავშირში დეპორტაცია ემუქრებოდა. დღეს მუჰაჯირთა შთამომავლების საერთო რაოდენობა იორდანიაში, არაოფიციალური მონაცემებით, 60 ათასს აღწევს. ყველაზე მეტია ადიღეელები, შემდეგ კი ჩეჩნები. იორდანიაში არის 5-6 საოჯახო კლანი ინგუშებისა, იმავე რაოდენობის დაღესტნელებისა და ყუმიკებისა.

სირიასა და იორდანიაში ჩრდილოკავკასიურმა ეთნიკურმა ჯგუფებმა შიდაქორწინებებისა და კომპაქტურად თანაცხოვრების წყალობით შეინარჩუნეს ენა და ადათ-წესები. სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფებს შორის არ შეინიშნება დაპირისპირება და ანტაგონიზმი. გარეგნობით ისინი გამოირჩევიან სემიტი არაბების ფონზე.

სირიაში ჩასახლებულ ჩრდილოკავკასიელებს, ისევე როგორც სხვაგან, თავდაპირველად სამხედრო ფუნქცია დაეკისრა. ოსმალეთის იმპერიის დაშლისა და სირიის დამოუკიდებელი სახელმწიფოს ჩამოყალიბების პროცესში, როდესაც ასპარეზზე გამოვიდნენ ადგილობრივი კადრები (განსაკუთრებით ალავიტთა სექტიდან), მათ ეს ფუნქცია დაკარგეს. მიუხედავად ამისა, არმიაში მოღვაწეობდა და მოღვაწეობს მუჰაჯირთა არაერთი შთამომავალი. მათი წრიდან იყო, მაგალითად, 1973წ. ისრაელთან ომში დაღუპული ცნობილი ქართველი ქველმოქმედის ლევან საღარაძის სიძე — მუფთი; 1980წ. ძმები მუსლიმების ტერორისტულ საქმიანობას ემსხვერპლა პრეზიდენტ ჰ.ასადთან დაახლოებული გენერალი მამდუჰ აბაზა. ჩრდილოკავკასიელ მუჰაჯირთა შთამომავლებს ჰყავთ თავიანთი ინტელიგენცია. მათ შორის შეიძლება დავასახელო დამასკოს უნივერსიტეტის პროფესორი, ცნობილი გეოგრაფი ადელ აბდასსალამი. დამასკოში მოქმედებს და ჩრდილოკავკასიური დიასპორის კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას წარმართავს ჩერქეზთა საქველმოქმედო საზოგადოება.

იორდანიაში ჩრდილოკავკასიური ელემენტი გახდა დასაყრდენი ჰაშიმიანთა სამეფო საგვარეულოსი, რომელიც ისლამის ფუძემდებლის მუჰამედის ოჯახიდან იღებს სათავეს. იორდანიის უშიშროების ორგანოებსა და პოლიციაში უპირატესობა ეძლევათ ადიღეელებს და ყაბარდოელებს, ხოლო არმიაში — ჩეჩნებს. მეფე ჰუსეინმა სწორედ ჩრდილოკავკასიელებზე დაყრდნობით შეძლო 1970წ. შემოდგომაზე იორადანიაში პალესტინელთა სამხედრო ბაზების ლიკვიდაცია. ერთგული სამსახურისთვის მუჰაჯირთა შთამომავლებმა მიწის დიდი ნაკვეთები მიიღეს. ბევრი მათგანი დაკავებულია ბიზნესით, აქვთ შესანიშნავი სპორტული კლუბები. უნდა აღვნიშნო, რომ 1971წ. ჩრდილოკავკასიურმა დიასპორამ გულითადად უმასპინძლა თბილისის „დინამოს“ კალათბურთელთა გუნდს იორდანიაში.

სირიის და იორდანიის ჩრდილოკავკასიურმა დიასპორამ ჩვენი საუკუნის 60-იან წლებში აღადგინა კონტაქტები ისტორიულ სამშობლოსთან. ხშირი იყო დელეგაციების და ტურისტული ჯგუფების გაცვლა. სამშობლოს სიყვარული და მათთან მჭიდრო ურთიერთობის სურვილი სირიისა და იორდანიის ჩრდილოკავკასიური დიასპორის წარმომადგენლებს აიძულებდა ლოიალურნი ყოფილიყვნენ საბჭოთა რეჟიმისადმი. 80-იანი წლების ბოლოს მათი აქტივობა თვისობრივად შეიცვალა. გაჩნდა მოთხოვნები ჩეჩნეთისა და ინგუშეთისთვის დამოუკიდებლობის მინიჭების თაობაზე. ამ მოთხოვნების სარეალიზაციოდ იორდანიაში შეიქმნა სპეციალური კომიტეტი და დახმარების ფონდი. საგულისხმოა, რომ ჯოჰარ დუდაევის მთავრობაში საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტი თავდაპირველად დაიკავა იორდანიის მოქალაქემ (ბინომ). არ არის გასაკვირი, რომ გასულ საუკუნეში კავკასიიდან გადასახლებულთა შთამომავლები სოლიდარობას უცხადებენ ჩეჩნებს და შეძლებისდაგვარად ცდილობენ დაეხმარონ მათ.

სირიასა და იორდანიაში მუშაობისა და ყოფნის დროს ხშირად შევხვედრივარ ამ ქვეყნების ჩრდილოკავკასიური დიასპორის წარმომადგენლებს. მათი დამოკიდებულება ქართველებისა და საქართველოსადმი იყო უაღრესად თბილი და მეგობრული. უკანასკნელ ხანებში, აფხაზეთის ომის მიზეზით, იმ პირობებში, როცა არაბული სამყარო საქართველოდან ობიექტურ ინფორმაციას, ფაქტობრივად, არ იღებდა, გაჩნდა სხვა ტენდენცია. სირიის ჩრდილოკავკასიურმა დიასპორამ ანტიქართული პოზიცია დაიკავა. 1993-1994 წლებში დამასკოში ჩერქეზთა საქველმოქმედო საზოგადოების სხდომებზე კეთდებოდა საქართველოს მიმართ აშკარად მტრული მოხსენებები. ცდილობდნენ დაემტკიცებინათ, რომ ქართველებს და აფხაზებს ისტორიულად არაფერი ჰქონდათ საერთო. საქართველოს რესპუბლიკის ხელმძღვანელობას ბრალს დებდნენ სიონიზმთან კავშირში. სირიის თუ იორდანიის ჩრდილოკავკასიური დიასპორა, მართალია, არ არის მრავალრიცხოვანი, მაგრამ ის საკმაოდ გავლენიანია და შეუძლია შექმნას ანტიქართული საზოგადოებრივი აზრი ამ ქვეყნებში. შეიძლება მხოლოდ გულისტკივილი გამოვხატოთ იმის გამო, რომ ჩვენი რესპუბლიკის შესაძლებლობები კონტრპროპაგანდის სფეროში დღეისთვის უაღრესად მოკრძალებულია.

**გოჩა ჯაფარიძე**

ნებისმიერ ჩვენთაგანს, ვისაც ტელევიზორი აქვს, ერთხელ მაინც უნახავს ისინი. 47 წლის ხოსე კარერასი, 58 წლის ლუჩანო პავაროტი, 53 წლის პლასიდო დომინგო — ორი ესპანელი და ერთი იტალიელი... ისტორიაში არ ყოფილა შემთხვევა, რომ ამ კლასის სამი ტენორი მოხვედრილიყოს მუსიკალურ ოლიმპზე. როგორნი არიან [illegible]ში? „ბუნტე“ აქვეყნებს [illegible], რომელიც სხვადასხვა დროს მიუცია სამ უდიდეს ტენორს.

# სამი ტენორი


ლუჩანო პავაროტი

**კითხვა: სიმღერა მუშაობაა?**

**პავაროტი:** არა. მე უბრალოდ ვიყენებ შესანიშნავ, ბრწყინვალე ინსტრუმენტს, რომელიც ღმერთმა მიბოძა. მე ყოველთვის ვმღერი — მათ შორის სახლში, ოჯახისთვის.

**დომინგო:** რა შეკითხვაა! რა თქმა უნდა მუშაობაა და თანაც როგორი დაძაბული! აბა სცადეთ სცენაზე ოთხი საათი შეუსვენებლივ დგომა. მაგრამ მე თუ კმაყოფილი ვარ არიის შესრულებით, ზეცასთან მიახლებულად ვგრძნობ თავს.

**კარერასი:** ჩემი ხმის სიმების სიგრძე სულ 20 ან 25 სანტიმეტრია, მათი ვიბრაციის სიხშირე კი წამში ათასს უახლოვდება. ხომ წარმოგიდგენიათ, რა ხდება ჩემს თავში თითოეული ნოტის აღების დროს? სპექტაკლის შემდეგ, როცა სცენას ვტოვებ, რომელზედაც დიდი როლი ვითამაშე, თავს ისე ვგრძნობ, როგორც წყლიდან ამოთრეული დამხრჩვალი კაცი, რომელსაც სიცოცხლეს უბრუნებენ.

**კითხვა: თქვენ მღერიხართ აბაზანაში?**

**პავაროტი:** დიახ, მე მიყვარს აბაზანაში მღერა.

**დომინგო:** განა ამას ყოველი ადამიანი არ აკეთებს?! აბაზანაში ხმა ყოველთვის ისე კარგად ჟღერს...

**კარერასი:** არა, მაგრამ სამაგიეროდ მიყვარს მანქანაში სიმღერა. ჩავდებ კასეტას მაგნიტოფონში და ჩემთვის ვმღერი მისი თანხლებით.

**კითხვა: თქვენ მოგწონთ თქვენი კოლეგები — სახელგანთქმული ტენორები?**

**პავაროტი (დომინგოს ფირფიტის შესახებ):** — ესაა ცუდი გემოვნების ფესტივალი ისევე, როგორც სხვა მრავალი, რასაც პლასიდო აკეთებს.

**დომინგო (პავაროტის შესახებ):** — ეს იტალიელი ეჭვიანია. იგი ვერ იტანს, რომ მე უფრო ახალგაზრდა ვარ.

**კარერასი (პავაროტის შესახებ):** — მას ისე უჭირავს თავი, თითქოს სცენაზე მის მეტი არავინ მღერის. ლუჩანოსთვის ყველა დანარჩენნი სტატისტები არიან. **(პავაროტისა და დომინგოს შესახებ, რომლებიც 60 წლის ასაკს მიუახლოვდნენ).** ტენორის იდეალური ასაკია 45-50 წლის ასაკამდე.

**კითხვა: თუ იცით, რამდენად მდიდარი ხართ?**

**პავაროტი: (სპექტაკლში იღებს 100 ათას მარკას, წელიწადში აკეთებს დაახლოებით 2,7 მლნ მარკას).** — არა, არ ვიცი, მაგრამ მე მაქვს სახლები მოდენაში, მონტე-კარლოსა და ნიუ-იორკში. კიდევ მყავს 20 ცხენი. რასაც ვშოულობ, იმის 60 პროცენტი საგადასახადო ინსპექციას მიაქვს და, გარდა ამისა, წარმოიდგინეთ, რომ მე სამი ქალიშვილის მამა ვარ! არა, მე არა მიმაჩნია თავი მართლა მდიდრად, მაგრამ მაქვს სახსრები საიმისოდ, რომ აღარასოდეს ვიმუშაო. სხვათა შორის, არასოდეს ფულს თან არ ვატარებ. მე რომ მეუღლე თან არ დამყვებოდეს, შიმშილით მოვკვდებოდი ან იძულებული ვიქნებოდი ვალებით მეცხოვრა, ან სწრაფად მემღერა რომელიმე არია და მერე ქუდით ჩამომევლო...

**დომინგო: (სპექტაკლში იღებს მინიმუმ 50 ათას მარკას, წელიწადში აკეთებს დაახლოებით 3,6 მლნ-ს).** — არა, მაგრამ ფული ხომ არაა მთავარი. მე ვალდებული ვარ ვიმღერო, რათა სხვებს გადავცე ის, რითაც მე ღმერთმა დამასაჩუქრა, ჩადო რა ხმა ჩემს ყელში. მაგრამ ბედნიერი ვარ, რომ ადამიანები სათანადოდ მაფასებენ და მზად არიან საკმაოდ დიდი ფული გადაიხადონ საამისოდ.

**კარერასი: (ღებულობს მინიმუმ 30 ათას მარკას ერთ სალამოში)-** არა, მე ვერ ვუწოდებ თავს მდიდარ კაცს. უფრო მეტის მიღებას, ვიდრე ახლა ვიღებ, უბრალოდ ვერ შევძლებ, რადგან თავს უნდა გავუფრთხილდე. ამიტომაც იშვიათად ვაძლევ წელიწადში 50 კონცერტზე მეტს.

**კითხვა: იმღერებდით ჰონორარის გარეშე?**

**პავაროტი:** მე ხშირად ვმღერი უფასოდ — სახლში. მიყვარს საკუთარი თავის მოსმენა. აი ცოლი კი მეუბნება: „ლუჩანო, სიმღერა თუ გინდა, წადი ოპერაში!“ ისე ხუმრობის გარეშე — დიდი სიამოვნებით ვმღერი კარგი გასამრჯელოსთვის, რომლიდანაც რაღაც ნაწილს შემდეგ ქველმოქმედებას ვახმარ.

**დომინგო:** როცა საქმე ქველმოქმედებას ეხება — მუდამ მზად ვარ. მაგალითად, ვეხმარებოდი მეხიკოში მიწისძვრით დაზარალებულებს. ამ ქალაქში ჩაიარა ჩემმა სიჭაბუკემ...

**კარერასი:** თუ მე წელიწადში ვმართავ 50 კონცერტს, მათგან 12-ს ჩემთვის არავითარი შემოსავალი არ მოაქვს. მე ის ფული შემაქვს ჩემს მიერ დაარსებულ ლეიკემიის წინააღმდეგ ბრძოლის ფონდში.

**კითხვა: როცა სასიყვარულო არიებს მღერიხართ, ფიქრობთ თუ არა ცოლზე? თუ სხვა ქალებზე ფიქრობთ?**

**პავაროტი:** აზრობრივად მე ჩემს ცოლს მივმართავ. მას ადუა ქვია. მე მისგან ყველაფრით ვარ დავალებული. თავის დროზე სწორედ მან მაიძულა, თავი დამენებებინა მასწავლებლობისთვის და სიმღერა დამეწყო. დასაწყისში ეს ორივესთვის მეტად ძნელი იყო, მაგრამ მან ვაჟკაცურად გადაიტანა ყოველგვარი განსაცდელი.

**დომინგო:** კონცერტის დროს პირველ რიგში მსხდომ ქალთაგან ვირჩევ ერთს ან რამდენიმეს და მათ ვუძღვნი ჩემს არიებს. ჩემმა მეუღლემ, მარტამ, იცის ამის შესახებ და მიაჩნია, რომ თაყვანისმცემლობას ვიმუღავნებ.

**კარერასი:** მე ვფიქრობ მხოლოდ იმაზე, თუ როგორ მივაღწიო შესრულების დროს მაქსიმალურ სრულყოფილებას. დანარჩენი თავისთავად მოდის.

**კითხვა: თქვენი ბავშვები მუსიკალურები არიან თუ არა?**

**პავაროტი:** ჩემი გოგონები — ჩემი ყველაზე მკაცრი კრიტიკოსები არიან. მაგრამ მუსიკაზე უფრო ნაკლები წარმოდგენა აქვთ, ვიდრე იმაზე, თუ როგორ უნდა გამოიყურებოდეს მამაკაცი. მათ მიაჩნიათ, რომ მე ზომაზე მეტად ჩასუქებული ვარ. ამას მაშინაც კი მეუბნებიან, როცა დრაკონულ დიეტას ვემთავრებ-ხოლმე.

**დომინგო:** ძალიან მუსიკალურები არიან, ვაჟიშვილი კომპოზიტორიც კია, მშვენიერ მუსიკას წერს, კლასიკური სტილიდან — „პოპსამდე“. ზოგჯერ, როცა მინდა ვასიამოვნო, მის სიმღერებს ვმღერი.

**კარერასი:** ვფიქრობ, რომ კი, მაგრამ ჩემი ხმა არც ერთს არ გამოყვა.

**კითხვა: როგორ რეაგირებთ, როცა მაყურებელი გისტვენთ?**

**პავაროტი:** არ გამიმართლა, — ვამბობ ჩემთვის, — სადღაც რაღაც შეცდომა დავუშვი, საჭიროა საკუთარ თავზე წამუშავება. შემიძლია გითხრათ, რომ არასასიამოვნო გრძნობაა.

**დომინგო:** მადლობა ღმერთს, ჯერ ასეთი რამ არ შემმთხვევია.

**კარერასი:** ასეთი შემთხვევები ჩემგან შორსაა!

**კითხვა: ამბობენ, რომ ტენორები პატივმოყვარენი არიან და თითოეულ მათგანს თავისი ჭირვეულობა ახასიათებს. ასეა?**

**პავაროტი:** მე, მაგალითად, არასოდეს არ გამოვდივარ ჩემი ჭრელი ყელსახვევისა და ჯიბეში დაბრეცილი ლურსმნის გარეშე. მაგრამ ეს ჭირვეულობა კი არა, ცრურწმენაა.

**დომინგო:** ვფიქრობ, თითოეული ჩვენთაგანი ძლიერ პატივმოყვარეა. მაგრამ ჭირვეული? განა ის ნორმალური არაა, რომ სპექტაკლის დაწყებამდე ორი საათით ადრე „ვითიშები“, და უაღრესად ვცოფდები, როცა ვილაც ჩემთან დალაპარკებას ცდილობს?

**კარერასი:** მე მყავს მძღოლი, სახელად ფრიცი, რომლის გარეშეც არსად დავდივარ. იგი თვალყურს ადევნებს, რომ ჩემს მანქანაში ტემპერატურა იყოს 19 გრადუსი. კიდევ რა უცნაურობა მახასიათებს? მე ვითხოვ, რომ ჩემს მოდელურ ფეხსაცმელს სქელი ლანჩები დააკერონ, რომ უკეთ ვიდგე სცენაზე. პო, კიდევ მიყვარს მანქანით სწრაფი სიარული, საათში 200 კმ სიჩქარით და სინატრას მოსმენა.

**კითხვა: ხომ არ გეშინიათ, რომ ერთ დილას გამოიღვიძებთ და ხმა აღარ გექნებათ?**

**პავაროტი:** არ მეშინია. მაშინ სხვა საქმეს მოვკიდებ ხელს, თუნდაც მასწავლებლობას. მე მგონია, რომ სიმღერის კარგი მასწავლებელი ვარ.

**დომინგო:** ამაზე საერთოდ ფიქრიც კი არ შეიძლება! ყოველი შემთხვევისთვის ზომები მივიღე და ჩემი კარიერა რამდენიმე წყვილ ფეხზე შევაყენე — შემიძლია ვიყო პიანისტი, დირიჟორი, ზოგიერთი საოპერო თეატრის მენეჯერი. მე არ მაშინებს ჩემი მომავალი.

**კარერასი:** ერთხელ ძლიერ ვიავადმყოფე და იძულებული ვიყავი დროებით მიმეტოვებინა სიმღერა, მაგრამ მაშინ მხოლოდ ერთ რამეზე ვფიქრობდი „ღმერთო მაცოცხლე!“ ხმა არც კი გამხსენებია...

**კითხვა: ყველაზე მეტად ვის უმადლით თქვენს წარმატებებს?**

**პავაროტი:** მამას, მეუღლეს და ჩემს კოლეგას — მირელა ფრენის, რომელსაც თავიდანვე სჯეროდა ჩემი და მეხმარებოდა.

**დომინგო:** მშობლებს და ჩემს კოლეგას — მონტსერატ კაბალიეს, რომელმაც „დიდ ოპერაში“ გასვლის საშუალება მომცა, როცა ჩემთვის გაახერხა როლი იმ სპექტაკლში, რომელშიც თვითონ მონაწილეობდა.

**კარერასი:** ჩემს მეუღლეს. მართალია, ჩვენ ერთად აღარ ვცხოვრობთ, მაგრამ კეთილ მეგობრებად დავრჩით. როცა ავად ვიყავი, იგი ძალიან მივლიდა. უმისოდ ცოცხალი ვერ გადავრჩებოდი.

**კითხვა: რატომ უყვართ ქალებს ტენორები?**

**პავაროტი:** ალბათ, აქ საქმე ხმაშია, განსაზღვრულ ტემბრში და კიდევ იმ მუსიკაში, რომელსაც ვასრულებთ. მაგრამ შეგიძლიათ ჩემი წარმოდგენა მხურვალე შეყვარებულის როლში? ვეჭვობ.

**დომინგო:** არ ვიცი. მე უბრალოდ ლეგენდად მიმაჩნია, რომელიც ნიჭიერმა ტენორებმა შეთხზეს. მაგრამ თუკი ქალებს მართლაც უყვართ ტენორები — რას იზამ, მე მაგალითად ეს ძალიანაც მაძლევს ხელს.

**კარერასი:** ტენორები ღებულობენ ყველაზე მომგებიან როლებს, თამაშობენ დადებით გმირებს. კომპოზიტორებმა სწორედ მათთვის დაწერეს საუკეთესო არიები. და მერე, განა ოდესმე გინახავთ მახინჯი ტენორი? მე — არა!

**„ბუნტე“. მიუნხენი**



## მოზაიკა

### გენერლები ნაკლები იქნებიან

80-მდე გენერლითა და პოლკოვნიკით შეამცირებს თავის შეიარაღებული ძალების მაღალ ეშელონებს ბრიტანეთის არმია, რათა შეამციროს მისი შენახვის ხარჯები. ამის შესახებ ინგლისის პარლამენტს წერილობით აცნობა დიდი ბრიტანეთის თავდაცვის მინისტრმა მალკოლმ რიფკინდმა ამჟამად ბრიტანეთის არმიაში მსახურობს 192 ბრიგადის გენერალი და 453 პოლკოვნიკი, რომელთა წლიური ხელფასი 45 ათასიდან 55 ათასამდე გირვანქა სტერლინგია. უფრო მნიშვნელოვანი იქნება შემცირებები უმცროს ოფიცრობას შორის, რომელთა რიცხვიც ბრიტანეთის არმიაში 20 პროცენტს აღემატება. ამ საუკუნის დასასრულისთვის შეერთებული სამეფოს შეიარაღებული ძალების სამხედრო და სამოქალაქო მოსამსახურეთა რაოდენობა უნდა შემცირდეს 35 პროცენტით 1990 წელთან შედარებით.

### ჩინური იარაღი-მიანმას

გასული დეკემბრის შუა რიცხვებში მიღწეული შეთანხმების მიხედვით ჩინეთი მიანმას სამხედრო ხელისუფალთ მიაწვდის 400 მლნ დოლარის ღირებულების იარაღს — 20 ვერტმფრენს, 50 საარტილერიო ერთეულს, 6 საპატრულო კატარღას, 60 ჯავშანტრანსპორტიორს და ა.შ. ვარაუდობენ, რომ საპატრულო კატერებსა და ჯავშანტრანსპორტიორებს მიანმას მთავრობა გამოიყენებს შეიარაღებული ძალების მოდერნიზაციისთვის. რაც შეეხება ვერტმფრენებს, არტილერიას და სხვა შეიარაღებას მიანმას სამხედრო ხელისუფალნი გამოიყენებენ აქ დამკვიდრებული „საოპიუმო ბარონის“ ხუნ სას შე[illegible]ბეული ფორმირებების წინააღმდეგ. ვარაუდობენ, რომ ეს ფორმირებები 18 ათას კაცს მოითვლის და კარგადაა შეიარაღებული.

### ღამე უნდა იძინო

რაც უფრო გადის დრო, მით უფრო მეტი სამსახური და წარმოება გადადის ღამით მუშაობაზე. ბრიტანელმა ფსიქოლოგებმა შეისწავლეს ცვლაში მომუშავე 4000 მუშა შეფილდის ერთ-ერთ საწარმოში. გამოირკვა, რომ ღამით მუშაობისას მუშა უფრო მეტ შეცდომას უშვებს, მეტია საწარმო ტრავმის მიღების შანსი. ფსიქოლოგებმა ასევე აღმოაჩინეს, რომ ღამით მომუშავენი უფრო სწრაფად ღიზიანდებიან, ვარდებიან დეპრესიაში და უქვეითდებათ სტრესისადმი წინააღმდეგობის გაწევის უნარი.

### აკლდამებით გატაცება

ბერტრან ბეიერნი, 28 წლის ფრანგი ისტორიკოსი, გატაცებულია სასაფლაოებისა და აკლდამების შესწავლით. მან დაწერა უნიკალური „საფრანგეთის სასაფლაოებისა და აკლდამების გზამკვლევი“, რომელიც ამ შემოდგომაზე გამოსცა გამომცემლობა „შერშ-მიდიმ“. ისტორიკოსი თავის თავს უწოდებს მის მიერვე შექმნილ სახელს „ნეკროსოფს“. მისი გატაცება აკლდამებით მაშინ დაიწყო, როცა ექვსი წლის ასაკში ნორმანდიიდან პარიზში ჩამოვიდა და უნდოდა ლუი XIV აკლდამის და შანსონიე მორის შევალიეს საფლავის. ნახვა, მაგრამ ისინი ვერავინ ვერ აჩვენა — არ იცოდნენ. და აი, მაშინ ბიჭი მიხვდა, თუ რა უნდა ეკეთებინა ცხოვრების მანძილზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეხბურთი

# «დინამო» გერმანიაში

**როგორც ცნობილია, 7-14 იანვარს თბილისის „დინამოს" საფეხბურთო კლუბმა ტურნე გამართა გერმანიაში. ამის თაობაზე გვესაუბრება „დინამოს" მთავარი მწვრთნელი ბატონი სერგო კუტივაძე:**

ჩვენ ჩასვლისთანავე მონაწილეობა მივიღეთ კიოლნის ყოველწლიურ მინი-ფეხბურთის ტურნირში. „დინამოს" გარდა ჯგუფში ასპარეზობდნენ „შტუტგარტი" და „კარლსრუე". ჩვენ ორივე შეხვედრა დავთმეთ — „შტუტგარტთან" 2:7 (გოლები გაიტანეს ქინქლაძემ და ყაველაშვილმა, ხოლო მეტოქეთაგან პირველი ბურთი ბრაზილიის ნაკრების კაპიტანმა დუნგამ გაგვიტანა); „კარლსრუესთან" 5:7 წავაგეთ (ანჩაბაძე — 2, ყაველაშვილი, იაშვილი, ქინქლაძე). ამ ტურნირისთვის სპეციალურად არ ვემზადებოდით და აზრი არც ჰქონდა — იგი ერთდღიანი შეჯიბრებაა. ჩვენი მეტოქეები კი უფრო მომზადებულები და გამძლეები აღმოჩნდნენ და შედეგიც სახეზეა. ორივე მატჩში გახურებაც კი ვერ მოვასწარით — როდესაც პირველ ტაიმში გოლები გაგვიტანეს, მეორე ტაიმში ველარ დავეწიეთ. თუმცა, მინი-ფეხბურთში წაგებიდან სერიოზულ დასკვნებს ვერ გამოიტან. ამის მაგალითად იკმარებს „შტუტგარტის" მარცხი იმავე ტურნირში ანგარიშით 1:10.

ამის შემდეგ დიდ მოედანზე გავმართეთ შეხვედრა „ბერგენგლადბახთან", რომელიც „კიოლნის" ფარმკლუბია და მოვუგეთ 3:2. ბურთები გაიტანეს ანჩაბაძემ — 2 და ყაველაშვილმა. ანჩაბაძე ყველაზე კარგად გამოიყურებოდა. მოგების მიუხედავად, თამაშით კმაყოფილი არ ვარ. რომელ ნორმალურ თამაშზეა ლაპარაკი, როდესაც გუნდში სათამაშო დისციპლინა არ არის, ერთს ვეუბნები, მეორეს აკეთებენ. ფეხბურთელებს სულ იმას ვუჩიჩინებ, ერთმანეთს პასი დროულად მიაწოდონ, ამის ნაცვლად კი ბურთს აყოვნებენ. ეს, ეტყობა, სისხლსა და ხორცში აქვთ გამჯდარი. ამ სენს რამენაირად უნდა მოვუაროთ.

**— „დინამოს" გამგზავრების წინ ხმები დადიოდა, რომ რამოდენიმე მოთამაშე უცხოეთში უნდა წასულიყო...**

— გერმანიაში არავინ მოსულა ფეხბურთელების წასაყვანად. გოჩა ჩიქოვანი ისრაელში წავიდა, ხოლო ნიკა ჩხეიძე გერმანიაში დარჩა. ეს არის და ეს. თუ ჩვენ ყოველწლიურად ასე უპრობლემოდ შევველიეთ მოთამაშეებს, თბილისის „დინამო" ისევ ისეთი გუნდი იქნება, როგორც დღეს არის. ასეთ პირობებში ძლიერი გუნდის შექმნაზე ფიქრი წყლის ნაყვას ჰგავს. პარლამენტმაც უნდა შექმნას კანონები, რომლებიც სპორტსმენების გამგზავრებას გარკვეულ ჩარჩოში მოაქცევს. ფეხბურთელების დაუფიქრებელი გაყიდვა ნაკრებისთვისაც საზიანოა.

**— მეორე წრეში „დინამოს" ვინ დაემატება?**

— ფოთის „კოლხეთიდან" მცველი მამუკა მაჭავარიანი, ახალგაზრდა სამტრედიელი მცველი კალაძე და თავდამსხმელი კახა გოგოლაძე „გურიიდან". ამ უკანასკნელის გადმოსვლისას პრობლემა გაგვიჩნდა. შესვენებისას ფეხბურთელების გადასვლა სხვა გუნდში არ შეიძლება, მაგრამ არსებობს გამოსავალი. როგორც საქართველოს ნაკრების მწვრთნელმა ალექსანდრე ჩივაძემ გვითხრა, გოგოლაძე ნაკრების კანდიდატთა შორის ჩაირიცხა და, მისი ინტერესებიდან გამომდინარე, სასურველი იქნება ფეხბურთელის „დინამოში" გადმოყვანა, სადაც იგი უკეთეს პირობებში მოემზადება. ეს კი ჩემპიონატის დებულებით დაშვებულია (დილმის ბაზაზე ვასილ მიქამავიძეც შევნიშნეთ, რომელმაც გვითხრა, რომ ამ დღეებში გაირკვევა მისი „დინამოში" თამაშის საკითხი).

**— თქვენი საუბრიდან გამომდინარე, თბილისის „დინამო" სერიოზულ პრობლემებს განიცდის.**

— გუნდი დაბალანსებული არ არის. სათამაშო დისციპლინა ნულზეა. ჯერ ფიზიკურ მომზადებას უნდა მივხედოთ და ამის შემდეგ სისწრაფეზე ვიმუშავებთ. ჩვენ გუნდის შეთამაშების საშუალებაც არა გვაქვს. ანდა რომელ შეთამაშებაზეა საუბარი, როდესაც ყოველწლიურად ხუთი ფეხბურთელი მიდის. ასეთ პირობებში ძლიერ გუნდს ვერ ჩამოვაყალიბებთ.

ესაუბრა
**მერაბ მამულაშვილი**

## მოკლედ

### მიულერი იაპონიაში

„სან პაულუსა" და ბრაზილიის ნაკრების თავდამსხმელი ლუის მიულერი გადავიდა იაპონიის ლიგის დებიუტანტ „კაშივა რეისოლში". 28 წლის ფორვარდი მიიღებს 1,1 მლნ. დოლარს. მისი კლუბი კი 1,75 მლნ. დოლარს. „კაშივა რეისოლის" შემადგენლობაში უკვე თამაშობს მიულერის ყოფილი პარტნიორი ანტონიო კარეკა. თვის დასაწყისში იყო ცნობები, რომ მიულერი ინგლისის „ევერტონში" უნდა წასულიყო, მაგრამ იაპონელთა წინადადება უფრო სარფიანი გამოდგა.


რონალდ კუმანი

### კუმანი სამშობლოში ბრუნდება

„ბარსელონა" შეიძლება მალე საერთოდ უცხოელის გარეშე დარჩეს. რომარიო უკვე წავიდა „ფლამენგოში"., სტოიჩკოვს თვალი იტალიისკენ უჭირავს, ახლა კი რონალდ კუმანმაც გამოთქვა შინ დაბრუნების სურვილი. მისი უფროსი ძმა ერვინი „ეინდჰოვენიდან „მშობლიურ „გრონინგენში" დაბრუნდა, რონალდსაც სწორედ „გრონინგენი" იწვევს.


კაფუ

### კაფუ „სარაგოსაში"

მსოფლიოს 1994 წლის ჩემპიონი, ბრაზილიის ნაკრების განაპირა მცველი, კაფუ თებერვლიდან ითამაშებს ესპანეთის „სარაგოსას" შემადგენლობაში. კონტრაქტი 30 ივნისამდეა დადებული და შეფასებულია 270.000 დოლარად

პრეს-მერიდიანი

# მეკარე

**რამდენიმე ხნის წინ „სპორტ-ექსპრესში" გამოქვეყნდა წარსულში ცნობილი მეკარისა და ტელეკომენტატორის ვლადიმერ მასლაჩენკოს გარკვეულწილად სენსაციური ინტერვიუ, რომელშიც იგი თავისი ფეხბურთელობის წლებს იხსენებდა. გთავაზობთ ნაწყვეტებს აღნიშნული ინტერვიუდან.**

## როგორ დააბრუნა ბრეჟნევმა „სპარტაკში" სტაროსტინი

**— ბევრი რამ თქვენთვის დნეპროპეტროვსკთან არის დაკავშირებული. ლეონიდ ილიჩს ძესთან ხომ არ გქონდათ ნაცნობობა?**

— ეს უკვე მოგვიანებით მოხდა, თუმცა მაინც დაკავშირებულია დნეპროპეტროვსკთან. მე დაქორწინებული ვარ გარკვეულ წრეებში ძალზე ცნობილი პიროვნების, საგანგებო დანიშნულების ობიექტების მშენებლის — გუბანოვის ქალიშვილზე. ომის შემდეგ მან დაამუშავა დანგრეული „როსტსელმაშის" სწრაფი აღდგენის გეგმა; ამასთან დაკავშირებით პირადი მიმოწერა ჰქონდა სტალინთან და სტალინური პრემიაც მიიღო. თვითონ დნეპროპეტროვსკში კი ცნობილი სარაკეტო ქარხანა ააგო. სამუშაოს დასრულების შემდეგ, ბრეჟნევის განკარგულებით, მოსკოვში გადაიყვანეს. აქ იგი მეგობრობდა გენერალურ მდივანთან.

1965 წელს „სპარტაკის" გუნდის უფროსის პოსტიდან მოხსნეს ნიკოლოზ პეტრეს ძე სტაროსტინი. ამ ადგილის ხელში ჩაგდება პროფკავშირულ ლიდერებს სურდათ, ჩვენ კი, მოთამაშეები დავდიოდით ინსტანციებში და ვარწმუნებდით, რომ „სპარტაკი" სტაროსტინის პირმშოა და ის აუცილებლად ჩვენთან უნდა იყოს. ამაოდ, ამ დროს მე გუნდის კაპიტანი და აღნიშნული ბრძოლის ლიდერი ვიყავი. ბოლოს მოთმინების ფიალა აგვევსო. მე არასოდეს მისარგებლია ჩემი სიმამრის დიდი ნაცნობობით, თუმცა საკმარისი იყო მისი ერთი სიტყვა და უკვე 1959 წელს „სპარტაკში" ამოვჩნდებოდი. მაგრამ აქ ლაპარაკი ჩემზე არ იყო. მე გავაცანი სიმამრს შექმნილი სიტუაცია და მან მთხოვა, ლეონიდ ილიას ძისთვის რამდენიმე სტრიქონი მიმეწერა. წერილს სამმა კაცმა მოვაწერეთ ხელი — მასლაჩენკომ, ნეტომ და ჰუსაინოვმა. ბრეჟნევის რეფერენტი სამოტეიკინი მოგვიანებით მომიყვა, როგორ ჩააბარა პირადად წერილი გენერალურ მდივანს, რომლისგანაც შემდეგი პასუხი მიიღო: „კოლექტივის თხოვნა უნდა შევუსრულოთ".

ერთი კვირის შემდეგ სტაროსტინი თავის ძველ ადგილს დაუბრუნდა.

## „მსოფლიო ჩემპიონატამდე ერთი კვირით ადრე ყბა მომამტვრიეს"

წლების განმავლობაში ჩვენი ჟურნალ-გაზეთები 1962 წლის ჩილეს მსოფლიო ჩემპიონატს იაშინის ტრაგედიად ნათლავდნენ. ჩილე-62-ის მეორე, მთავარ უიღბლობაზე კი, რომლის შესახებაც იმდროინდელი უცხოური პრესა ბევრს წერდა, აქ კრინტიც არ დაუძრავთ. ეს მეორე უიღბლო მე ვიყავი.

1960 წელს ევროპის ჩემპიონატის შემდეგ ამხანაგური მატჩი გვქონდა ავსტრიაში. დილით ვენის ტყეში ვვარჯიშობთ და, აი, უეცრად იაშინი მეუბნება: „ვალოდია, გინდა თამაში?" მე ვუპასუხე: „არა, მე ჯერ კიდევ ძალზე ახალგაზრდა ვარ იმისთვის, რომ ასეთ ვარსკვლავებს ვუდიიორო". გარდა ამისა, არავისგან არ მინდოდა საჩუქრის მიღება. გავიდა წელიწადი. 1961 წელს მე მივიღე ჟურნალ „ოგონიოკის" მიერ საუკეთესო მეკარისთვის დაწესებული პრიზი, პირველად ვაჯობე რა იაშინს. ჩემს შესახებ მოთხრობა დაწერა ლევ კასილმა, რომელმაც იგი თავის კრებულში შეიტანა. მაშინ მივხვდი, რომ მზად ვიყავი, ჩემს თავს ვუთხარი: „მზად ვარ საბრძოლველად".

მსოფლიო ჩემპიონატის წინ ყველამ იცოდა — ლიოვა ფორმაში არ იყო. ის ავადმყოფობდა, გადაიტანა ტრავმა, თითქმის არ ვარჯიშობდა. თვითონ აღიარებდა, მსოფლიო ჩემპიონატზე მასლაჩენკომ უნდა ითამაშოსო. ამასვე ამბობდნენ გუნდის ისეთი ავტორიტეტებიც, როგორებიც იყვნენ ნეტო და ივანოვი. ცხოვრებამ მომცა არაჩვეულებრივი შანსი, გავეჯიბრებოდი თვით იაშინს, და ვგრძნობდი, რომ ამ მომენტში გამარჯვება ჩემს მხარეზე იქნებოდა. როგორ ვითამაშებდი მსოფლიო ჩემპიონატზე — ეს სხვა საკითხია.

და მაინც, ნაკრებში გარანტირებული ადგილი არ მქონდა, ვთამაშობდი იაშინთან მონაცვლეობით. ვერც მე, ვერც სხვამ, ვერავინ ვერ მოახერხა „იაშინის კომპლექსის" ამოფხვრა, რითაც ყველა მწვრთნელი და ხელმძღვანელი მუშაკი იყო დაავადებული. მათ არ შეეძლოთ წარმოედგინათ, რომ ნაკრების კარში შეიძლებოდა სხვა დამდგარიყო. უშუალოდ ჩემპიონატის წინ კოსტარიკის ნაკრებთან ამხანაგურ მატჩს ვთამაშობდით. შესვენებაზე შემოვიდა იაშინი და მითხრა: „ვალოდკა, აიღე ხელთათმანები. მე ფორმაში არა ვარ. ჩემპიონატზე შენ უნდა ითამაშო". მაგრამ კაჩალინმა დაიჟინა, რომ იაშინს ეს მატჩი ბოლომდე ჩაემთავრებინა. მეორე დღეს კარში უკვე მე ვიდექი. როცა კიდევ ერთხელ ჩავუვარდი ფეხებში მეტოქე გუნდის თავდამსხმელს, მან ბურთზე ფეხის დარტყმის მაგივრად, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ფეხი მთხლიშა სახეში.

**— გონება დაკარგეთ?**

— არა, წამოვდექი და გასახდელში საკუთარი ფეხით გავედი. ჰოსპიტალში სარკეში რომ ჩავიხედე, მივხვდი, რაც მოხდა. მომტვრეული მქონდა ზედა ყბა. ქვეყნის საუკეთესო ქირურგი 7 საათის განმავლობაში მიკეთებდა ოპერაციას.

ჩემპიონატის წინა დღეებში მე გუნდს შევუერთდი, რა თქმა უნდა, სიმბოლურად. მაგრამ კაჩალინმა მითხრა: ივარჯიშე, როგორც შეგიძლია, რათა მოწინააღმდეგეებმა იცოდნენ, რომ ჩვენ მეორე მეკარეც გვყავს. მე ნიკოლოზ ოზეროვი მავარჯიშებდა. გადაეხტი ბურთის ასაღებად და თვალთ დამიბნელდა. ოზეროვი მივიდა მწვრთნელებთან და აუხსნა, რომ ჩემთვის ვარჯიში არ შეიძლებოდა. მე ტვინი გავუხერიტე ჟურნალისტებს, ვუხსნიდი გერმანულად და ესპანურად, რომ ყველაფერი წესრიგში იყო, სინამდვილეში კი ნაკრების შემადგენლობიდან ამოვვარდი. ერთი კია, უცხო ენებში გავარჯიშების საშუალება მაინც მომეცა (რაც შეეხება უცხო ენებს, ერთხელ, 1958 წელს, გერმანული ენის ცოდნა დამეხმარა, დაველაპარაკებოდი „ჰამბურგის" კლუბის პრეზიდენტს, რომელმაც სრულიად საიდუმლოდ არნახული კონტრაქტი შემომთავაზა — მანამდე საუცხოოდ ვითამაშე გერმანიაში „ლოკომოტივის" შემადგენლობაში. მე უარი ვუთხარი, მაგრამ მან სახსოვრად ოქროს ბეჭედი მაჩუქა. კარგად მახსოვდა სერგეი სალნიკოვის მაგალითი, რომლის სახელზეც, მგონი" რაპიდიდან" მოვიდა მოწვევა, რის შემდეგაც მას საზღვარგარეთ გასვლა აუკრძალეს).

## „ბესკოვი ადამიანებს, მათ შორის იაშინსაც, ისე ექცეოდა, როგორც მონებს"

**— ჩილეს მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ თქვენ არც ერთი მატჩი აღარ გითამაშიათ ნაკრებში. რატომ?**

— 1963 წელს ნაკრებს სათავეში ჩაუდგა კონსტანტინე ბესკოვი. იგი რატომღაც ვერ ალმიქვამდა, როგორც ფეხბურთელს, თუმცა მანამდე არავითარი კონფლიქტი არ გვქონია. ბესკოვმა არც კი მიმიწვია ნაკრების კანდიდატთა გასინჯვაზე ვორონეჟში, მაგრამ მასზე ზეგავლენა მოახდინა მწვრთნელთა საბჭომ ანდრეი სტაროსტინის მეთაურობით და იგი იძულებული იყო, ჩემთვის მოწვევა გამოეგზავნა. ერთადერთი, რაც გვაკავშირებდა, იყო ის, რომ ერთი და იგივე მკერავი გვყავდა. ლამაზად ჩაცმა მიყვარდა.

ისე მოხდა, რომ ვორონეჟში მგზავრობა ერთ კუპეში მოგვიწია. ის „თეატრალურ ცხოვრებას" კითხულობდა, მე — არისტოტელეს. ბესკოვმა მკითხა, რას ვკითხულობდი და როცა პასუხად „არისტოტელე" მიიღო, ისეთი მზერა მესროლა, მაშინვე ცუდი წინათგრძნობა დამეუფლა. მან იფიქრა, რომ დავეცინოდი.

ვორონეჟში ნათელი გახდა — არც მასლაჩენკო, არც იაშინი ბესკოვს არ სჭირდებოდა, ის იმედებს ურუშაძესა და ბაუაზე ამყარებდა. ჩემთან კი რატომღაც ანგარიშების გასწორებას აპირებდა, კომკავშირული კრების მოწვევაც კი მოინდომა ჩემი ვარცხნილობის მიზეზით — წავედი საპარიკმახეროში და მოკლედ შევიჭერი თმები. შემდეგ, ეტყობა, იმით ვაწყენინე, რომ ვორონეჟის „ტრუდის" წინააღმდეგ რიგით მოთამაშედ გამოვედი. ნაკრებმა მოიგო ანგარიშით 4:1, მე ორი ბურთი გავიტანე, ორიც ჩემი ჩაწოდებით გაიტანეს. ხოლო როცა ვარჯიშებზე ჩვეულ ადგილს ვიკავებდი, გოლს ვერავინ მიტანდა. ეს ბესკოვს აბრაზებდა.

ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ მივედი ბესკოვთან და ვუთხარი: „მე სულელი არა ვარ და ძალიან კარგად ვგრძნობ, გუნდში რა ვითარებაცაა. ვხედავ, რომ ახლა არ გჭირდებით. „სპარტაკში" ყოველთვის მიპოვით. გპირდებით, მთელი ძალით ვივარჯიშებ და მუდამ კარგ ფორმაში ვიქნები". გამოვბრუნდი და წამოვედი.

მარტო, მე როდი წამოვედი. უფრო ადრე შეკრებაზე მიშა მესხი წამოდგა და უთხრა: „კონსტანტინ ივანეს-ძევ, არ მინდა შენს ნაკრებში თამაში. სახლში გამიშვი". შემდეგ იგივე გაიმეორა გივი ჩოხელმა. მე მესამე ვიყავი.

**— არ გიცდიათ ბესკოვთან საერთო ენის გამონახვა?**

— ეს შეუძლებელი იყო. მისი მოპყრობა პროტესტის გარდა ჩვენში არავითარ გრძნობას არ აღძრავდა. ორსაათნახევარი, ელემენტარული საფეხბურთო დოგმებით გვიმღვრევდა ტვინს, თან შიგადაშიგ ექსკურსებს აკეთებდა თეატრალურ ცხოვრებაში. თითქოს მუდამ ავიწყდებოდა, რომ საქმე ჰქონდა საკუთარი აზის მქონე მოზრდილ ადამიანებთან. მწვრთნელი ჩვენ, როგორც მონებს, ისე გვექცეოდა და ფეხბურთელებს, რომლებმაც საკუთარი თავის ფასი იცოდნენ, ეს შეურაცხყოფდა. სხვათა შორის, ბესკოვი იაშინსაც ასევე ეპყრობოდა და ადამიანს შეიძლება მხოლოდ შეშურდეს ლიოვას მოთმინება — მიკვირს, რატომ არ გამოუჯახუნა კარები. მაგრამ ბედმა აჩუქა მას ინგლისის საფეხბურთო ლიგის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი ცნობილი მატჩი, სადაც მან არნახულად ითამაშა. საზოგადოებრივმა აზრმა აიძულა ბესკოვი, დაებრუნებინა ნაკრებში დიდი მეკარე, რომელსაც მან კინაღამ ჯვარი დაუსვა.

**— მსმენია, რომ თქვენ იყავით ინგლისის 1966 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე გამგზავრების კანდიდატი.**

— დიახ. მაშინ საუცხოო ფორმაში ვიყავი, მაგრამ აქ წინ ნაკრების მთავარი მწვრთნელი ნიკოლოზ მოროზოვი გადამიდგა, რომელმაც გაიხსენა, როგორ გავიქეცი მისი შეგონებების მიუხედავად 1959 წელს „ლოკომოტივიდან" „სპარტაკში". იაშინი ჩემს კანდიდატურას იცავდა, მაგრამ მოროზოვი კატეგორიულად წინააღმდეგი იყო. „მითხარი, რა დაუშავე ამ მწვრთნელებს?" — გაკვირვებით მეკითხებოდა ხოლმე შემდგომში ლევ ივანეს ძე.

ეს იყო ნაკრებში ჩემი მოხვედრის უკანასკნელი შანსი.

თარგმნა
**გოჩა საითიძემ**


GEORGIAN
MARITIME
BANK

საქართველოს
საზღვაო
ბანკი

საქართველოს
საზღვაო სააქციო
კომერციული ბანკი
ბათუმი, 384517
გოგებაშვილის №60.
ტ.: 3-54-69, 2-00-50
ფაქსი: 873 1405477
ტელექსი: 412616

THE GEORGIAN
MARITIME
BANK
60, Gogebashvili
Batumi, 384517
Republic of Georgia
Phone: 2-00-50, 3-54-69
Fax: (873) 1405477
Telex: 412616

საზღვაო ბანკი
მომავლის ბანკია

მომსახურება — მინიმალური ტარიფებით
საერთაშორისო საბანკო ოპერაციები სამი საბანკო დღის ვადაში
ვალუტის კონვერტაცია
ნაღდი ფულის ინკასაცია
ბანკომატი
ფულადი ნიშნების შეძენა


მრავალდარგოვანი
სავაჭრო-კომერციული ფირმა
იაგუარი-2
ჩვენთან ურთიერთობა
თქვენი წარმატების საწინდარია
ბათუმი, ახალსოფელი

მეუღლე რუსუდან კეშელავა, შვილი ირაკლი, ძმები აკაკი, რაფიელ ჩიქოვანები ოჯახებით, სიდედრი ნინა ჭანუყვაძე, ცოლისდა ბელა კეშელავა ოჯახით, ბიძაშვილები, დეიდაშვილები, მამიდაშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ვახტანგ ირაკლის ძე ჩიქოვანი**

პანაშვიდი 19, 20 იანვარს 15 სთ-ზე,
გამოსვენება 21 იანვარს 13 სთ-ზე ი.ნიკოლაძის 6

ყოველდღიური გაზეთი
„კავკასიონი"
იღებს შეკვეთებს
სამგლოვიარო განცხადებების
გამოქვეყნებაზე
მოგვმართეთ:
პეტრიაშვილის ქუჩა №7
ტელეფონი: 29-48-05

სარედაქციო კოლეგია:
ვასილ მაღლაფერიძე (სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე), მამუკა ფაჩუაშვილი (მთავარი რედაქტორი), პაატა ვეშაპიძე (პოლიტიკა), გივი ბოლოთაშვილი (უცხოეთი), ვახტანგ როდონაია („არილი"), დავით კახაბერი („თვალსაწიერი"), შადიმან შამანაძე (პუბლიცისტიკა), ვახტანგ სალია (გაზეთის დირექტორი), ბონდო მძინარაშვილი (პასუხისმგებელი მდივანი).

რედაქციის მისამართი: თბილისი, პეტრიაშვილის №7. ტელეფონი: 29-48-05; ფაქსი: 29-48-05.